ვარლენ იაგანაშვილი

# „მწარმჩივარი სალამოები“



ISBN 978-9941-0-1732-2
გამომცემლობა „ვეფხისტყაოსანი“
თბილისი 2009 წ.

## ნამდვილი პოეზია არასოდეს იგვიანებს

ვარლენ იაგანაშვილი ჩემი თანატოლი კაცია, პირადად არც მინახავს. რატომღაც მოუწადინებია, მისი ლექსები მე წამეკითხა და აზრი გამომეთქვა. მისი ნაწერები ახლობელმა ნათესავმა, ტელეჟურნალისტმა, ქალბატონმა მედეა მოსულიშვილმა მომიტანა.

დიდად გაოცებული დავრჩი, რომ ასეთი მდიდარი სულიერი სამყაროს მქონე ადამიანს, ვისაც ტრაგიზმის უმძაფრესი განცდა აქვს, ლექსის ფორმაც უაღრესად ნატიფი, დახვეწილი, თავისი უკიდურესი მორიდებულობისა და უცნაური ხასიათის გამო დღემდე არაფერი გამოუქვეყნებია. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი მხოლოდ ლიტერატურით, პოეზიით სულდგმულობს, ძირფესვიანად შეუსისხლხორცებია ჩვენი კლასიკური მწერლობა და პროფესიით აგრონომს, თვალსაჩინო საერთო განათლება ეტყობა.

იგი გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდის მკვიდრია. მარტოხელა კაცს ოჯახი არ შეუქმნია და მართლაც სულით ობოლი ეთქმის – საკუთარ სადარდელს ოსტატურად ჩამოქნილ სტრიქონებს ანდობს. ამჯერად არ შევუდგები ვარლენ იაგანაშვილის ცალკეული ლექსების განხილვას. ერთს ვიტყვი მხოლოდ, გულჩათხრობილ, სიტყვაძუნწ შემოქმედს უზადოდ აქვს ათვისებული ჩვენი ხალხური პოეზია და თანამედროვე ქართული ლექსების მიღწევებსაც კარგად იცნობს, რაც ფორმის ესოდენ სასურველ ფლობაშიც ვლინდება. ცალკე ყურადღებას იმსახურებს მისი გამორჩეული ხატოვანი აზროვნება, სახეების ორიგინალურად აგების იშვიათი უნარი.

ვარლენ იაგანაშვილის ცხოვრება და ბედი რაღაცით გვაგონებს თავის დროზე ასევე მიჩქმალული საუცხოო შემოქმედის ნიკო სამადაშვილის ფენომენს და დარწმუნებული ვარ მისი ლექსების წიგნი ცხოველ ინტერესს გამოიწვევს, ჯეროვნად იქნება შეფასებული.

*ემზარ კვიტაიშვილი*
*23 მაისი, 2009*



## ელეგია

ბადრი მთვარე მიბნედილა,
დარდმორეულს დამზერს არეს,
ოქროშუქში ალივლივებს
დაბურულ ტყეს და მდინარეს...
დგას ბექობზე, გადაჰყურებს
დაკარგულ ძმას, მგლოვიარეს,
„ნუღარ ვსტირით...“ — ხეობა კი
იმეორებს სიტყვას მწარეს!

*1954*

## ცვარი

თუა ლექსი — გარემოა, ჰავა,
(სტრიქონები ქვითინებენ ქარით),
გარდაივლის ყოველივე, წავა,
განბანილი პოეზიის ცვარით!
სანუკვარი გამოკრთება შუქი,
სამლოცველოს მარად ღია კარით,
აყეფდება მგალობელი ვარდზე,
მოსირმულზე ავსებული მთვარით!

*1954*

## ცირცელი

მე, ვით მღვიმეში შეხიზნული ძეხორციელი,
განმარტოებით, თავის ფიქრით, წმინდა
გრძნობებით
ძალმოსილებას ზეციურის არ ვეღობები...
ცირცელია და... ცას უცინის ცივად იელი!
ქარი ქროდა და კვლავ იქროლებს
აშარველური,
მოვლენ და წავლენ წამებულნი და
მწამებელნი,
ჩვენი სიცოცხლე უამო და... ჭიანჭველური,
მიათრევს წამებს... თვალთგან დიან ცხარე
ცრემლები.

*1954*

## ციერი

მე თვალწინ მიდგას ზამთარი კაცად,
(ზეაწვდილია შამფურის მწვადი)
მეჩვენება თუ... მიბრძანებს მკაცრად:
„ჩემს სილრმისაკენ, ჩემ გულში წადი!"
იქ, მის წიალში, ციერი მოსჩანს,
(ეხ, უსუსური რას ვბედავ, რასა!)
დედამიწაზე უსუსტეს მგოსანს
მასთან მიჯობდა ე, ამის თქმასა!

*1955*

## ტკივილი

ფრთებდაშვებული მოჩანს კაკალი,
ხეს შემოაკლდა მზის შუქი რაკი
გადაივიწყა თრთოლვა — კანკალი,
ყანა, ჩურჩული და... ლაპარაკი.
და ის, რაც ჩანდა, დაფარა ჯანლმა,
მეც გამოვიხმობ ნისლოვან რითმებს,
ყეფას უმატა სახლუკან ძაღლმა,
ისევ და ისევ ტკივილებს ვითმენ.

*1955*

**

აგერ ბავშვობა... დამფრთხალი, მუნჯი,
ისევ მანიშნებს ხელების გაშლით:
„არ ჩამოწეწო საბძელში ბუდე,
ჩიტი ცოდოა ეგეთ ყინვაში!“
და მე ვდგავარ და... რაღაცას ვუცდი,
თუნდა ასრულდეს... საითაც ვილტვი,
მაინც იქნება იმდენად სუსტი,
როგორც ნაფიქრი — უთქმელი სიტყვით.

*1955*

## ბალახი

ქარისგან გადარჩნენ ყვავილები,
ქრის სველი ბალახის სუნი,
არცერთი კიწენი უიმედო,
არცერთი ფოთოლი — წუნი...
„ო, ეხლა ბაღში არ გაივლება”,
გვიხმობენ კისრამდე სველებს,
ქარისგან გადარჩნენ ყვავილები,
დაველებთ გამოწვდილ ხელებს.

*1955*

## დილა

საცაა დილა შეიშმუშნება,
კრძალვით ამართავს მონამულ სურას,
„მზე ამოდისო“ — შრიალებს ნუში,
ამაზე კუნელს ნუ ეტყვი ნურას.
მზე დიდებული მოაფრქვევს სხივებს,
ააბიბინოს ბალახი აქ რო...
რაღა დროსია: „აცე“, „აცეთი“,
ტყიდან მოდიან მიხო და შაქრო.

*1955*

***

ავად მიიღებს ალბათ ლაყაფი,
ამცნობს გარემოს საოცარ ამბებს,
რომ ვარდით მოვრთო „ის ალაყაფი“,
რომ გავაღმერთო ღობე და შამბი!
ეშმა კი ცდილობს, დაგიდოს ფეხი,
გადაგატაროს ყირაზე მაშინ,
რაღას უყურებ, წამოდექ, გლეხო,
დამსკდარ ხელებით დაუკარ ტაში!

*1955*

## ვარდები

„ნეტავ“ და „ნეტავ“ რა გახდა „ნეტავ“,
მაგრამ ეგრეა ნაძვისფერ გზებით.
არა ღერების ძირში დაწყვეტა,
გულის ტკივილის მომიზეზებით!
„ნეტავ“ და „ნეტავ“ პატარაობას
თითქოს ვიბრუნებ, ნაიარევი,
და ვფიქრობ: ვარდებს ვერ მომპარავენ,
გარს შემოვუწყე ეკალნარები...

*1955*

## მთვარე

მხოლოდ სიყვარულს არა აქვს ზღვარი,
მთვარემ ღრუბელზე დადო თავი და...
სიმშვენიერე გაიზღვარზღვარა,
მერე გამშორდა... მერე წავიდა...
ვუყივლე: „ჰეი, რათ დაიკვეხე,
თითქოს მატირე, მოვნამე ველი.
არა და არა! მისდღემჩი ეხელს
არა ჰქონია თვალები სველი!“

*1955*

## დუმილი

სარკმელთან ლამბავს ფარჩეულს მთვარე,
ფოთლები დალბა ცივცივი ცვარით,
დაჟივდა ღობე, გააგდო ნამი,
რა სულმა შობა — ასეთი ღამე!
სხივებზე ბზინავს რძისფერი მინა,
შინა ხარ, შინა და ალბათ გძინავს...
სოფელში გაქრა ხმაური მქისე,
მე ისევ აქ ვარ... და დუმილს ვისმენ...

*1955*

## ბორცვები

სიყმაწვილის ოცნება — იისფერი საფარი,
შორეულის წყურვილი — სიხარულის
ზღაპარი,
ხევის მწვანე ბორცვები — მარტო შენ და
ტაგანი,
წყალი წმინდა, ცივი და ჩვენი ტრფობის
საგანი!
მოდი, კიდევ მწვანეზე იმ წამების ხათრითა,
დღეთა იმათ საამო გაზაფხულურ ავდრითა,
კორტოხებზე, სერებზე, ვაშრიალოთ ყანები,
გაფრენილან დღეები — ძაან დასანანები...

*1956*

## სული

დარიალებს ნისლებთან,
ხევ-ხევ დაჰქრის ეული,
მაგრამ ვერ ანაწევრებს,
შოლტი შემოქნეული,
უმდიდრესი, ლამაზი,
როცა ჰყვავის მაისი,
ის აპრილის ყვავილებს
აივნებზე აისვრის...
მოშურნალი როდია,
უნდა იყოს მართალი,
ქვაბულებში, ეხებში
ენატრება თვალთვალი.
დაიღვრება ცრემლებად
თუ ჩიორა დაჭრილი,
ბუჩქნარებში იპოვა
ნაგვემნა კრტენგაცლილი.

*1956*

## ᲘᲙᲐᲠᲝᲡᲘ

ღამე ნაბდებით იყო მოსილი,
წამწამს ნაყავდა უმშვიდეს ქართან,
ფრთები შევისხი იკაროსივით
და... დავენარცხე ნავენახართან...
იქ იდგა ძირი უძველეს ნამჯის,
სულ ზევით მავთულს ჭიმავდა სარი,
მაშინ რა უფრო ლამაზად ჩანდა —
ნუ დამიმალავ, ცაო, მითხარი!

*1956*

## ᲝᲪᲜᲔᲑᲐ

ვიღაცას იხმობს ნუშის კოწოლი,
(მზიან ოცნებას ამით ეწევა...)
გულჯავრს იქარვებს ყელთან მოწოლილს
და მაცოცხლებელს შეეხვეწება:
„მოდი, წვიმაო, მომასურვილე
ბარამბოსა და ქინძარას სუნი,
ზამთრის ძილშიაც ტკბილად მესმოდა
მაამებელი შენი ჟუჟუნი.!

*1956*

## ...საწვიმარი ღრუბლები

კიდე ვიმღერებ, გავტეხავ ღამეს,
რომ შენი სული, წმინდა, მოვქსოვო,
ფიქრი აღელდეს — ბალახი მწვანე,
ხოლო მე, ხარმა, ხარბადა ვძოვო...
ვეპიტნავები უძველეს კუნძებს,
ძეძვიან ლობეს, პაემნის ჭიშკარს,
ყოველგვარ ავქარს გული გაუძლებს,
შენც თუ აუწყებ ცისკარის ნიშანს.
ფერდობებზე შევიგულე ძეძვი,
და მნათობი ღრუბელს ისევ ფურჩნის...
აქაც თითქოს შენს ნაკვალევს ვეძებ,
ტყის ნაპირი აბიბინდა ლურჯი.
და ლივლივებს დამუხლული ყანა.
და საყვარლად ქვითქვითებენ მწყრები...
საწვიმარი შორს ღრუბლები ჩანან...
და საკუთარ ტკივილებზე ვყვები...

*1956*

## მთვრალი მუხები

სოფლის ბოლოდან გავყევი ტყისკენ.,
(მეცხვარეები უსტვენენ ძაღლებს),
სმენადნაქცევი სალამურს ვისმენ.
და წარსულ წლების ნაგმან კარს ვაღებ!..
მეგებებიან მუხები მთვრალი,.
მიშლიან სუფრას ფოთლის და ტოტის...
მე მდიდარი ვარ გალეულ მთვარით
და ხევის მწვანე გარეშემოთი!

*1956*

***

პაპამ „ზაოტზე“ ჭაჭა ჩახარშა,
არყის გამოხდა ამბობს, ვიციო.
მინდა ვუსმენდე ნაჭახჭახარ შაშვს,
რა აჭახჭახებს, გამოვიძიო!

*1956*

***

გახსოვს გავლილი, ბავშვური გზნებით,
ცივი ცვარნამი როგორ გვათრობდა.
ტრფობა უზაკვო, აუკინძველი
და გულმართლობა...
რა საუბრები გვქონდა ღამღამე,
შუბლშავღრუბლებთან, სავსე
მთვარესთან,
სხვათა სიკეთე, ანდა სხვა რამე,
ვაწერდით ალმებს ჩვენ უმთავრესად!

*1956*

## ხეხერა

დაწანწალებდა ერთი ხეხერა,
ტყეში ცარიელ პანტას ქუსნიდა,
ერთხელ წაასწრო ხეთა მჩეხველმა —
დაკა და დაკა! არც მოუსმინა!
დაანამუსა, უთხრა რიდებით,
მაშასადამე, თვით რაც ენება,
პანტა მე მინდა, ტყე მე მჭირდება,
ახალი ქოხის ასაშენებლად.

*1956*

***

ღრუბელმა ქარივით იცურა,
ხეობებს უწვდინა პეშვი,
ნუგეში, ჩაიცვი ბიჭურად,
ამაღამ წავიდეთ ტყეში!..
გაკვირდი? იცი, რომ ინანებ?
უხ, არა, ინებებ, თუკი...
ვარსკვლავნი სხვაგვარად ბრწყინავენ,
სულ მცირე იმედის შუქით...

*1956*

***

გზაზე ვიღაცა მიაფრატუნებს,
(ღრუბლებს მიარღვევს მნათი ფუტურო),
როცა მამლებმა სული გატრუნეს —
ლეკვს მოესურვა დაიწკმუტუნოს...
მოხუცი დინჯად ჩამოჰკრავს ტალკვესს,
ნათელ მომავალს ხედავს დაღლილი
არც შემაშფოთველს, არც გულამაზრზენს
დუმილს ხმობს... თავის გამოძახილი...

*1957*

***

ნუ გადამახევ თავზე ამ ნაწერს,
გაგულისებით და განრისხებით,
არა უშავრა, თუ გინდა დაწვი.
ნაფლეთებს ვერსად ნახავენ სხვები!
„ბავშვო, ო, ნეტა არ გაიზარდო,
სიკვდილს არ გირჩევ, არ იტყვის ენა,
სულ ეგრე დარჩე, უჭკნობი ვარდი,
ვით მეოცნების ნათელი რწმენა!“

*1957*

***

ღმუის ქარი, თითქოს მგელი,
ამაზრზენი... ჩქარი... ჩქარი,
ისევ გელი, თვალებსველი,
ქოხის კარებს ავეკარი!
მზე არ მინდა, არც ხო არი,
ჩამოშავდეს ყველა წმინდა,
ძველ ბარათებს, ვუნთებ სანთელს,
თვით სიცოცხლის დასაბინდად!

*1957*

***

თუ მათქმევინებ სიმართლეს,
კუნელს ვერ გავცვლი ზიმარტლზე,
ტალებდაცვენილ კევრივით
უძნო კალოზე მიმათრევ!
არცერთი ხე არ გამთბარა,
გათოშილ, ცივი მთვარითა,
ეგეთი წუთისოფელი
გამომიცვალე, არ მინდა!

*1958*

***

შავი ფრინველი მოფრინდა ბინდის,
მოსწყდნენ ბალღები ბლების კუნწულებს,
განათდეს ზვარი, მე აგრე მინდა,
ამოდის მთვარე — მე ვაიძულე!
ქოხთან მწვანიანს, ფოთლებს განფენილს,
ვემუდარები, ვეალერსები,
თქვენმა სიცოცხლემ, ვერ ისუნთქებენ
ასე, თქვენს იქით, ჩემი ლექსები!

*1958*

***

ფანდურს აჟღერებს ქარი ტოტებზე
(თვალწინ ციალებს ღამის თვალება)
მთვარე — ცარგვალის არისტოტელე —
ფიქრობს და საზრავს, გაუთავებლად
მამშტერებია გორა ქაჩალი,
(დაძონძებულა ქოხში ნაბადი)
შარშანწინდელი ქარს მიაქვს ჩალა,
დაე, წაიღოს თუნდ ჯანდაბამდის.

*1957*

***

სხვამ გააბას მწარე კვნესა,
მთა მოგლიჯოს, ზღვა დახაფროს,
ჩვენ წავიდეთ სადმე, კლდესთან,
და ორივემ გამოვქვაბოთ!
თვიდან თვემდე ნადგომ გუბეს,
მადლი ვუყოთ, ამოვხაპოთ,
ფოთლებისას ვშლიდეთ სუფრებს —
გამოვქვაბოთ, გამოვქვაბოთ.

*1958*

***

ძირს წინაპრების ჩაყრილი ძვლები,
ზევით ბებერი, თეთრი მთებია,
ჩალაჩაშლილი ძველი საბძლები
ჩამოსაქცევად ემზადებიან!
გულგრილაზიზად ვუმზერდე ზვირთთა,
შლეგმა მდინარემ აგრე იდინოს?!
ცრემლიც გაძვირდა, ცრემლიც გაძვირდა,
პირქვედამხობით რომ ვიქვითინო!

*1960*

***

ძვალკუნთოვანი სტრიქონი გიხმობს,
ტაეპი, ძუძუმაწუებელი,
ღიმილისა და ურვის ჩამტევი
შვიდფეროვნების მაუწყებელი!
ფრთამოშრიალე შაირი გიხმობს,
შექმენ და განა ერთი შებერვით,
სიტყვიერების ცხრაკლიტურები
ამტვრივე, თავს ნუ გაინებივრებ!

*1960*

***

ღრმად ჩამარხული გულში კაეშნად
წნულჩალურია და... ფანდურია,
რას იზამ, თუკი, ეს ყოველივე
დაკარგულია, დაფანტულია...
რას იზამ, თუკი, ახალ ცხოვრებას
ელვის სისწრაფით კარი ეხსნება,
ძველის, ძვირფასი ძველის, ტრფიალი
გულით აროდეს არ დამეხსნება.

*1960*

***

მიდგანან კრიჭაში
ყველაფერს ვყრი ჭაში!
კი ვკვალე ბუწკნარი
მიბღვერის ბუ წყნარი!
რი ბედი, რა ბედი,
ვარ მე ვით აბედი,
კირჩხლია და ცივა,
ფოთლები დაცვივა.

*1960*

***

ჩაწოლილია ჯანღი,
ტანშემოძარცვულ ტყეში,
ხამ თოვლს მიიკვლევს მგზავრი,
წვალებითა და ხვნეშით,
მოჩანს სოფელი შუქში
ისმენ ჩალურით წკრიალს,
ჩონგურია თუ გლოვის
უმწეო ცრემლებს ღვრიან?

*1961*

***

ხარბად ვსუნთქავ მუხათ შრიალს,
შავშამბნარი ცაა თითონ,
შვინდიანით გვიყმუიან:
წაადით-ო, წაა-დი-თო?
ხევს გრძნეულთა ნადიმია,
ბრახაბრუხი ძველი ტაშტის...
ვინ გვეძახის? — ნადირია,
თუ ველური გადმონაშთი?

*1961*

***

გაფრინდნენ წლები ფრთათა შმაშურით,
ზოგს ხორხოშელა ჩამოგვათოვა,
ჩვენი ცელქობა, მღერა ბავშვური,
დრომ სად წაიღო, სად მიატოვა!
თვალებში გვიდგა უძირო სევდა,
ზაფხული... ღამე... ორღობე... მთვარე,
პატარაობავ, ხსენებას შენსას,
მოვაფრქვევ ცრემლებს, ძალიან მწარეს.

*1961*

***

მთვარე არ ცურავს, ქარია ჩუმად,
ცა მიტურტურებს, მისთვის გერი ვარ,
სავალალოა, რაზეც არ სდუმან,
რაც ორღობისთვის მშვენიერია!
ჯერ უწინარეს შინა და შინა
და მერე გარე, რაც საფერია.
სატირელია, რაიც არ ბრწყინავს
რაც ორღობისთვის მშვენიერია!

*1961*

## გზა

გზა, გზა მაჩვენე, ცისიერო, გზა, გზა მაჩვენე,
ხელი მომკიდე, გამიყვანე სუფთა ჰაერზე,
უწმინდეს გულით, უმართლესი ამა
მარჯვენით
ცხოვრების შლეგი მდინარება მიმაქანებდეს!
დავტოვებ ბურვილ მუხიანებს, დავტოვებ
წყვდიადს,
გამოვარიდებ ბროლის კოშკებს ღამეს
სასურველს,
გზა, გზა მაჩვენე ყოვლად სწორი, ის თუ კიდეა,
უნდა გათავდეს, უმიზნობა, უნდა
დასრულდეს!

*1961*

***

შენ და... ბროლის მძივები?
შენ და ქალის იები?
რაა ცვარი, თუ ნამი.
იის სუნი... სუნამო!
ხრმლისა ცრემლით ალესვა?
რაღას ეტყვი ხვალესა!
შენ და კრიალოსანი?
ბრძოლა — იტყვის მგოსანი!

*1961*

***

ვაი ქვას, ცივ ქვას, უოცნებო ქვას,
თვით უდიდესი ქვა მეოცნებეს —
უმცირეს წინწკალს, ზღვად გადუქცევს
სხვას,
გლახაკის სამოსს ჩააცმევს მეფეს!
მე ქვას ვირჩევდი, თუ გაჭირდება,
ფუჭმოფიქრალთა დე, ცოდო მედოს,
ოღონდ საფიცრის — თავისუფლების
დიდი იმედი არ დამეკვეთოს!

*1961*

***

შემგლიფერდა, მზე ფიცულობს,
ხვალეც ძაან ვიცინებო!
ვარსკვლავებო, აციმციმდით,
მთვარემ: „წაველ, ვიძინებო“!
ყმაწვილები ლახტაობენ,
საქანელა დაქანაობს...
თინა გიოს ევედრება:
„ბუჩქებისკენ, აქ, არაო!“

*1961*

***

თეთრონებით, მთამთა, კლდე-კლდე,
მათრახების ქნევა-ქნებით,
შეუცვნიათ გზის სიმოკლე
და მოჰქრიან ქარნი ქვევით!
ღელეთ მწარე ამოოხვრა
ღრუბელსა და ნისლს ბრალდება.
გაგვიხუნდა მწვანე ჩოხა,
ბერწიფლებო, გვიზამთრდება!...

*1961*

***

მაგდებს ბურანში მწუხრის სურნელი,
თითქოს ვარდისფერ წყალში ვბანაობ,
ქარო, აუშვი, დღეს ვარ მსურველი
წარსულს, დაქცეულს დავუნანაო..
დავუნანავებ ძნაჩაშლილ კალოს,
დავურწევ აკვანს ნიჩაფს და ფიწალს...
მდინარის პირას ბულბული გალობს...
და გარდაცვლილებს იბარებს მიწა.

*1961*

***

მკათათვე, ცხელი ზაფხული,
კალოობა და კევრობა,
იმ ჩვენი „ცათამბჯენიდან“,
გამოჩენილი „ჰევროპა“!
„ცხენშესვენება“ გრილოში
ნიორწყალი და დანდური,
ცოტა ბზე, ცოტა ხორბალი —
გლეხს ბედთან რა აქვს სამდური!

*1961*

***

კიდევ გიგონებ, კიდევ მჭირდები,
წყალწაღებული ხავსს ვეჭიდები,
კიდევ შეხვედრას მოველი წმინდას
უბინოებას, ფურცვლას ყვავილთა...
გამწვანდა ველი, სოფლის ნაპირი,
გაზაფხულური ქრის ქარი, გრილი...
არის სიჩუმე, ტკივილი, თმენა,
შვინდებისა და ნუშთა მოწყენა...

*1961*

***

ნათელ ღამეში მონაქროლ სიოს
იწოვს გაცრეცილ ველის სურნელი,
ოცნებამ ქარებს კვალდაკვალ სდიოს,
წამო, ვიაროთ დაუსრულებლივ!
ვიწრო სავალებს გავუყვეთ მთებში.
ვიწამოთ მარად მწვანე ბუნების,
„იქამდე" რაღა დარჩა მანძილი —
წამო, ვიაროთ დაუსრულებლივ!

*1961*

***

იხრასტებიან დევები ხევში,
ხახით ამოაქვთ უხვად ნახველი,
ფლახვ ახოებში, მხმარ ბალახებზე
ეფოფხებიან ტბები ნაღველის...
ქვა-ღორღ-ლოდთ ლოკვით, ჯაგლაგთა
ფლოქვით,
მათრახით, მეხით, ცით, ქვეშით, ფეხით
მუქნავლის მფენი, საფანტი (ბრპენი)
მოშხუის მუხათ მომსხვრევ-მოჩლეხით...

*1961*

***

არწივიან მთებს ცვილივით ანთებს
აშიშვლებს ტყეებს, შემუსრავს ნადირთ,
წამიწუთს არვინ ისვრის გრანატებს
მაგრამ სიკვდილი დადის... და დადის!
ლურჯია ზეცა, მწვანეა მხარე,
წყნარია შენი ჩურჩული, ლოცვა.
გაგაშავებენ? სამშობლოს მთვარევ,
შეიკვამლები? — მშვენიერო ცავ.

*1961*

***

მართვეთა ფრთებით, ფიქრები მქრქალი
გადაიფრენენ მთებსა და ველებს,
რომ დამიბრუნონ ნეშთი ცისკარის,
რომ მაზიარო  მზედარის ხელებს...
რო მომიტანონ ცხრამთას იქიდან
უკვდავებისა ანკარა წყარო,
არ დამამიწონ სულითხორციან,
სიცოცხლის ღირსი თქვან, რო შენც ხარო!

*1961*

***

წინ მივაქროლებ ჩონჩხადქცეულ რაშს,
ულრანის სიღრმით სანთლისა ციალს,
ხანხან ეფარვის ყორნების ურვა,
ირგვლივ უკუნი, შამბი, ძეძვია!...
ნათელო სულო, ლივლივებს ბუში
წლების ნაჟონი, ღალა ნაღველის,
მივქრი დამშეულ ნადირთ ღავღუვში,
წვიმას ჩამოსდევს ეშმათ ნახველი...

*1961*

***

ნათელო სულო, ვინაა მანდა,
ნულარ ჩაქრები, ჯავრსა ვსჭამ ვიდრე,
ვერ ავერიდე ცოფიან ავდარს,
წინ ღელეები კიდეა, კიდე!
მახინჯთა როკვა ვლინდება ბარდით
და ფოსფორული ნათება თვალთა,
ნათელო სულო, მაშალე ვარდი
ავს დამაღწიე, ყინვას და ზამთარს...

*1961*

***

კვლავ გაგრძელდება ნაკაწრ სულის
ლოცვა ვარდებთან,
ბზებსა და ნაძვებს ვერა ძალა
ვერ გაახუნებს,
ბაღის ჭიშკართან არაერთი
მოწანწალდება
და გათხუნული ხელით კარსა
დააბრახუნებს!
უკან, უცხონო, თქვენი სუსი
არ იყოს ბაღთან,
(ეს, ცოდოც კია „ტყეთა შვილი“
ეწოდოს შეშლილს!
სულით ნამცეცნო, ჩვენი ჟამი
მაშინაც წახდა.
როს საბოლოო დაცემულიც
მიჰყავდათ ტყეში...

*1961*

***

ჩუმადა ვარ, მზეს მოველი,
მთათ და ველთა პირველ მქსოველს...
გამარჯობა ტყეს, ღრეს, გორას
ღარტაფსა და ველსა სოველს!...
უწმინდესი ცა, უმტვერო,
მშვიდად ედგეს ლურჯად მთაგორს,
სავაზნარის იფრქვეოდეს,
თბილსურნელი უჯაგმაგო!

*1961*

***

სულ სხვა ფიქრები გარგუნეს, სულ სხვა.
ელოდი ცისკარს, ტოროლის წკრიალს,
შენი ბავშვობა მოაშთო სუსხმა,
გაყინა, მოსპო და დაამსხვრია!
რაა ოცნება! რაა ტყე-ველი
„წკირი“, „კიწნწი“, რაა „ბალახი“
მოცლილ უვიცის დასასტვენელი,
თვით გენიოსიც ახია, ახი!

*1961*

***

აივნიდან დიდბატონი
ტყეს გაჰყურებს საცვლიანი,
საით ნისლი იძურწება,
ფერწასული, ნაცრიანი.
დიდთავადის უპეებში ელვა
კვესავს წვიმის ღრუბელს,
„ჰე, მამულო, სასურველო,
დაგღუპეთ და დაიღუპე!“
მთვარე თითქოს მოპირქვავდა,
ისე როგორც ბალბის ჯამი
და ზეწარში გაეხვია,
შავსაბანში ერთი წამით!
ჩამობნელდა აივანზე,
მოეძალა ყორნის ფრთული,
მოიშალა კაცის ფიქრი,
ფანდურივით მომართული,
დაბლით ღამე, მაღლით კაცი-აწვებიან
ერთურთს მკერდით,
ვინ იტყოდა, თუ ვინ იყო,
ამ ორს შორის გასაბღერტი!

*1961*



„სიცოცხლე
შეუძლებელი
იქნება, თუ რო-
გორღაც არ გაილამაზე
სულის გამათბობელი
მოტყუებით... მის
ქვეშ ხომ გამყინავი
სიცივეა".

ლოტე გაიბარში

***

რა ყოფით ქრიან დღეები, ქრიან,
ქროლება, აი, ამასა ჰქვია.
ძმისწულო, მიხავ, დღეს მე მწადია
უუძველესი გითხრა აქია.
ბილიკებს მისდევ ეკლიანს, ქვიანს,
მთვარე ბადრია... მცხუნვარე მზეა.
სპილოს ფეხებით გაგსრესავს ძია —
განა ცხოვრება სხვა რამეს ჰქვია!

*1962*

***

გამშვენიერება შავის მთვარეშია,
შავათ მოშრიალე ფშვენენ შაირები,
მარტია... და გარეთ ყვავილთა თქეშია,
ქარში შეიშალნენ ნუშის ყვავილები.
მთვარემ დაათოვა თეთრი თუთის
ფოთლებს,
წვრილნი ვარსკვლავები თავებს
გვაწონებენ...
ცაო, სასურველო, ვარდი გაიმეტე,
ოქროს ხომ არა გთხოვ, ოქროს
მაცთუნებელს...

*1962*

***

ვის უნდა ომი, ცისიერო,
შენ გინდა, თუ მე,
ამ ორში ვის სურს დააქციოს
ჩალური ქოხი,
ტყე გააშიშვლოს, დაუკარგოს
ნადირთ საფარი,
სისხლით შეღებოს, გადაბუგოს
მინდვრის ყვავილნი,
განა გწადია, მოიქუფროს
კვამლის ბოლქვებით
ცაცისკრიანი, მთვარიანი,
ულურჯესი ცა,
მხოლოდ და მხოლოდ კვნესოდნენ და
ტიროდენ ირგვლივ
თუკი მშვიდობის სადავეებს
აიღებს ხელში,
მთელ ამ მიწაზე უგუნურზე
უგონო კაცი?....

*1962*

***

რას მოველოდი, რა მინდოდა, რა მაწვალებდა?
ნუთუ ციერი, ცისთვალება, შავწამწამება?
ნუთუ ცისკარი მაისისა, შუქი კრიალა,
მთვარის ხმობა თუ ბულბულის ხმა
წკრიალ-წკრიალა?
თუ ხეტიალი მუხათ შორის, კლდეში და ღრეში,
და ნაბდისფერი ღამეების სულ ცრუ ნუგეში?
რას მოველოდი, რა მინდოდა, რა მაწვალებდა?
ნუთუ ასული, ცისთვალება, შავწამწამება?

*1962*

***

მალე ზამთარი დადგება, ვიცი,
ბუხარი... ბოლი... ყინვა, ხიწიწი...
ჯერ კიდევ თითქოს ეს იყო გუშინ,
იმათი ხმები ჩამესმის ყურში.
მაშვრალნი როგორ ზრუნავდნენ ამ დროს,
სარჩენი პური ჰქონდათ სადარდო,
ანუგეშებდნენ თავის თავს მშიერს,
არ მოჰკლებოდა შვილთა ნაშიერთ!
წავიდნენ, გაჰქრნენ, ეახლნენ მიწას...
ზამთარი მალე დადგება, ვიცი...
წამოვა ნისლი, კირჩხლები, ზვავი...
გაითოშება მათიც საფლავი,
ეხ, რა წამებით განვლიეთ დღენი,
აი, ესაა სიცოცხლე ჩვენი!

*1963*

***

ბებრუხანები ხვრეპავენ ბურნუთს,
ქარი ქშუის და იქცევა ღობე,
მისულმკვდარებულ ჰაერში უცბათ
ზღვა წამოვიდა — ყარტლი და ტლოპე,
შავკაბოსანი შავ დედლებს აქშევს...
მერე გამოაქვს და საკეკს უყრის...
წუკია წკნავის წარაფის ჯაგში –
ძაან ძნელია შიმშილის გულყრა...

*1962*

***

ცააა და... შევცქერი ცივს ლურჯ ცას,
აგრე გინდა, მე რაღასა ვკარგავ,
გაცრეცილი მთვარე წინ მიცურავს,
არც ეგეთი სილამაზე ვარგა!
რა თქეშია ენდროსი და ლალის,
(გენანება გამომარგვლა მინის)...
ოთხივ კუთხივ იმზირება თვალი
და... წყლულების პირველ გულმა იცის...

*1962*

***

...შენც გეყოფა ჩამოღვრილი შუქი
(უალერსე უუსველეს „სვილებს“)
მზის ამოსვლას სიდიადე უქე,
უმცირესი წყენით ჩააცილე!
მათრობელა, ტოროლიან ველებს
დავემხობი, ჩემსას ვეკონები.
ლეშს მიათრევს ტყავგახრწნილი მგელი,
სახარების სრული შეგონებით!

*1962*

***

წვიმა და სეტყვა ეძალვოს,
ყვავიფჩხილას და ურոსა...
ყველა თავთავის ბინისკენ
წავიდეს, გეეშუროსა!
ელვამ დაკოცნოს ბერმუხა,
შეაკანკალოს სუროსა,
მე მივეწაფო ვაჟასა —
ვსვამდე და მომეწყუროსა!

*1962*

***

შუადღეა, ცხელა, ცხელა,
მინა ღუის გაფხოკილი...
ღრუბელია თუ... ფეხშველა
თეთრ ცისიას აფრთხობ ძილით...
არ დუმარებს კაცის მაჯა,
პაპანებას თავს არ უხრის,
სივილია ცელებისა
და თოხების ჩახაჩუხი...

*1962*

***

ჩუმად! შაშვიან წარაფს მშვიდობას
ნუ შეუშფოთებ, სიო, სისინა,
ო, მის თბილ ბუდეს, ო, მის თბილ ბინას,
სიცოცხლის დედას, წამითა სძინავს...
წკვარამ, შავღამეს, შებურვილ შვინდებს,
ნელი ჩუჩუნი სწყურია ფესვთა,
ღელევ, დადუმდი, ქარო დადუნდი,
ისუნთქონ მწერთაც მყუდრო ტაფესთან.

*1962*

***

არც იქნება, არც ციოდეს
ყინვაა და ... ჩვენ აქ ვთვრებით...
ამ დროს ალბათ გარეთ ძრწოდნენ
შორეული წინაპრები...
ჰქონდა აზრი იმათ ყოფას?
(დრო შეგვესწრო, ესეც ბედი!)
იცოდნენ კი ცის შემკობა?—
შეიძლება ჩვენზე მეტი!...
სასაცილოდ ჩაითვლება,
(მომავალში დღენი ვლიან)
ის რაც მიღწეულია და
ის, რაც გამოგონილია?
ვინ რა იცის! ერთურთს ცვლიან,
ძველს ახალი და პირიქით...
სიბრალულით გვახსენებენ
ძმანო, დღეის ამას იქით!...

*1962*

***

ღმერთო, რა მოხდა, აღარც ვარდს ვითხოვ,
აღარცა ღიმილს... თვალთა მოჭუტვით...
აღარც კანკალს და განმარტოებას,
არც ხელის სითბოს წარტაცვას წუთით!
არც ბუწკნარებში ცისკრის ჩახედვას,
არცა ცრემლებს და არც ცივ ოცნებას.
შენ შენთვის იყავ (გა, განმერიდე...)
არ მინდა შენგან სიტყვის მოსმენაც!

*1962*

***

...სულო, რა ტკბილად დამღერდნენ ფანდურს,
თითქოს გალობდა შაშვი ფოთლებში,
შავშავს აშლიდნენ შვინდებს შენაბდულს.
უძველეს ფიქრთა — აგვისტოები!
ჰოი, იმ სიყრმის აგვისტოები,
თბილი თუ ცხელი... შუაღამენი...
ვარსკვლავთ რიალი განძთდამთოვები,
ვარდი და... მჭკნარი იასამანი...

*1963*

***

დასალიერზე სანთელი ბჭუტავს,
ულრანი ტყიდან გამოკრთის ხანხან,
ნათელო სულო, თუ აგრე ჩანხარ,
მაშ, სავალ ბილიკს ვინღა მიბუნდავს!
ისმინე მურა, შეიპყრეს ვირი,
ის უწყინარი ცხოველი, მგლებმა...
წადი, ქოხისკენ იბრუნე პირი,
შენ მაინც დარჩე ცოცხლად ეგება!...

*1961*

***

პოეზიითვინ რა ვქენი?
შაირი მრავლად შავქენი!
ტოტი ახალი დავქენი?
ფიჭა სანთელი გავქენი?
ვქმნიდი ასკემო ეხელი.
შრიალებს ბაღში ხეხილი,
არ მაშინებდა ჩეხილი,
ვამსხვრევდი გიჟი და ხელი!
რამდენი წელი ვეწიე,
ჯანღიან ბორცვებს ვეწვიე,
ცეცებით ვკრეფდი მეც იებს,
ბევრჯერ ამაოდ ვეძიე!
მინდოდა სიტყვა მჯაფველის,
მქონოდა ჯაგნართ მკაფველის,
მიწის და ცისა სურნელის
დამსმენთა გაულაფელის!

*1963*



***

სიტყვათა ჩვენო, მწვანე ჯეჯილო...
მიყვარხარ, დილავ, ტორროლიანო,
ტყეო,ნაწამებ სულის სამარევ,
ბებერო მუხავ — კურკოიანო!
ულრანისპირა შემგლიფერებავ,
კორომო, ბუჩქო, ძეძვთალმიანო.
შორით ნადირის გამოყმუვლებავ,
გვიანო მგზავრო, ადამიანო!
ღელევ, ბარდებით გარშემოსილო,
ზღაპრების სკივრო, ფიქრთა შრიალო...
მთვარევ, ცთომილთა შუქო, მამულო,
წვიმაქარები, ზენარ ნიავო,
სიყმაწვილისა ტკბილო ზმანებავ,
მზეთუნახავო, სულო მზიანო!

*1963*

***

სული აივსო საამო დარდით,
ვარდის მსურველმა მცურავი ვპოვე,
პირიმთვარისავ — შენც მიმატოვე
წუთისოფელი — ბედია, ნარდი!
გაფითროვნდება წამების წამი,
(ჟანგი ედება სიმართლის ხმალთა,
სად არს წივილი დაბლა მხოხავთა,
მტერი ათია და არა სამი!..

*1964*

***

მუხა, ტყვეობიდან დახსნის,
თუ ამოვა, ძნელად ჰყვავის,
რას გაიგებ ყეფას ძაღლის,
მგელთა ყმუილს, მელათ ხავილს?
იოცნებე, ცისკრის ნანი,
წამიერად წყაროს აცნე,
არ აწამო, შემოწანი,
შემოევლე, შემოკაწნე!

*1964*

***

მე მგონი ხშირი წვიმები კმარა
(ხომ შეიძლება მზეც გამოვიდეს!)
ისევ და ისევ შუქო, ცისკარო,
მშლიდე, მახმობდე, და ისევ მშლიდე!
ხმელი ფოთლები გადაიქაროს,
ანწლის, ლენცოფის, ბარდის კაჭახი.
ხმელ მუხამ ნერგი ამაიყაროს
და გამოსული, მზეო, მენახე!

*1964*

***

და მე ისევ ბედზე ვტირი,
უსტვირო და უფანდურო,
გუშინდელი დაბურული,
ტყე დღეს მინდა დავიტირო!
განძეული სანუგეშო
იდგა სულში, იდგა განა?
გახდა ნადირთ სათარეშო,
ის მთები და ის ქვეყანა!...

*1965*

***

შენ ისევ მისმენ, ციერო, სულო,
ჩემი სიმღერა — არის ძახილი!
წინ კვლავ ღელეა, ტბა თუ გავცურე,
წმინდანთა ისევ მფარავს სახელი!
ვსვამ წყაროსავით ჰაერს ფერდობთა,
მექართულება ტყეც და ველებიც,
გავალ წვიმაში, გული მენდობა,
მამაპაპეულ ნაბდიძველებით!

*1965*

***

ახლა, როდესაც მოზიდეს თივა
(კმაყოფილია მაშვრალი ამით)
მინდა გავიდე ახლო, ტყის პირას,
ან თითონ ტყეში, მთვარიან ღამით!
მინდა ვუსმინო მდინარის ჩხრიალს,
წიფლების შრიალს, მნათობით ნათბობს,
ხომ არ შეხედავ შენც ვარსკვლავთ ციალს,
ჩემო, ყველაზე პატარა სატრფოვ?

*1965*

***

დარდიც გაწყალდა, მაგრამ სიხარულს
მაინც არ უჩანს ოქროს ნისკარტი,
ჩამოგიშალეს ბუდე ბუმბულის,
სასომიხდილი ძირს გდია ბღარტი!
ალერსის ღვინო! ტბაო, უძირო,
თავუშურველად გლეევ... და მე ვლოთობ...
ჩვენც ნუ ვიტირებთ, ჩვენც ნუ ვინაღვლებთ,
ე, ხო გვირჩევენ, არ იტიროთო!

*1965*

***

ეს დღეც მოთავდა უშფოთველი და
უმოძრაო,
შემახე შუბლი, მომიტევე, ო, ღამევ, ძმაო,
ცისფერ ზმანებებს სწვავ და ჰქარავ,
აგვისტოს ცაო,
იმ დღეთა ფიქრთა მოხავსულთა
სამალულაო,
ყურჭივით შავო, მოლივლივე,
უძირო ტბაო,
არ იტყვი ქარისამარაა, უძილოაო!
წმინდანთ ავუნთებ წმინდა სანთლებს ო,
ღამევ, ძმაო,
ეს დღეც მოთავდა მოთენთილი და
უმოძრაო.

*1966*

***

რა გიფიქრია... (ბოლო წიგნიდან),
„სადღაც მივდივარ, გტოვებ, გიცილებ...“
არა, ციერო, ფიცია წმინდა,
ო, ღმერთო, რატო არ გაიცინებ!
შუაღამეა, ჩამოემარცვლა,
ჩამოეთვალა ყინულს მძივები...
შენზე სიზმარი მაქვს სანახავი,
თორემ ეხლაც არ დავიძინებდი.

*1957*

***

როს დაზამთრდება, მოვა ნისლები,
გაიზუზუნებს თოვლის გუნდები,
მივჯდები „ფეჩთან“, მარტოდ, მჭმუნვარე—
და კვლავ თქვენ ხსოვნას დავუბრუნდები!...
...ახლა გიგონებთ როგორც წასულებს,
ლალისფერს დინჯად ვაპკურებ პურზე,
რა განვადიდო თქვენი ხსოვნისთვის,
გავალ გარეთ და ვარსკვლავებს ვუმზერ...
ჩამოთოვს მთებზე, გაიკრინჩხლება,
გაითოშება სულის ხუნდები,
უკუნეთ ღამეს მივჯდები ცეცხლთან
და კვლავ თქვენს ხსოვნას დავუბრუნდები!

*1965*

***

მე მივაცურებ ყინულის სათარს,
გამხმარ ღიმილს და გათოშილ სიცილს,
ტყის ფრინველთ (წამით ვისვენებ სადაც)
აფრთხობს ლაწლუწი, ჩრდილთა ლაციცი!
ჟამიდან ჟამზე ვიბერტყავ პერანგს,
იღვრება ოფლი და სიპავს ბაწრულს,
ბილიკს, რომელიც ეშმაკსაც ზარავს,
ეშმაკს აჯაგრულს და თვალჩანაცრულს.
ო, ღმერთი არც მზის, არც ცისკრის, არც ცის
არ მანდობს თავზე და მხრებზე თბილ ხელს.
ჭაჭანებაა არსაით კაცის
და გულის ვარამს არავინ მიმხელს!
გაწეულ ჭაპნის იმედი სად რის
ჰქონდა დამაშვრალს, რო წყვეტენ იმედს...
მე მივაცურებ უღრანში სათარს,
ბნელში მივიწევ წინ, მძიმე-მძიმედ!

*1966*

***

წვიმაა და ცივა მეტად,
(ღირს ციერო გასალექსად),
ღამე არი კუნაპეტი
და ფინიას — სცივა ლეკვსა...
ნაოცნებარ მთვარის პეშვი,
ცის ოცნებას უდგას მცველად,
პახოაანთ ორღობეში
ცალი ვიღვწვი ჩასავლელად,
ეს გზა ვიწრო, სად მის პირას,
სახლი იდგა ძველი, წნულის,
მდუმარებამ ჩააძინა.
დიდი, მცირედ მიჩნეული!
ამ ერთადერთს, ამ იშვიათს,
გამოვუთვლი სისხლს წვეთწვეთად
და ამ ფიქრთა ნათელ შრიალს
ვერ ვიმეტებ გასაცვეთად!

*1966*

***

გაჟივდა ხნული, მოლი და ყანა,
(მწვანე ნუშები მოიცვა ფიქრმა),
თითქოს შენ ცოტა დარჩი ნაწყენი,
უკანასკნელად გიხილე იქნებ!
ეს წვიმაც, წუხელ აღარ გაჩერდა,
(ეგების წყნარად ჟუჟუნებს მანდაც),
ვინ ისისინა ბოლოხანს შენთან,
რომ წამითაც კი ბაგე არ მანდე!
ნუ გადაიღებს... მოვარდეს ხვალეც,
(გული არაა, მოგწერდი წერილს)
მივაგდებ რვეულს, ან რას ვეწვალე?
რას ჩურჩულებენ ნუშები სველი?

*1968*

***

მხარი ჩამაჭრა შავნაღვლის აბგამ,
ჩრდილში ვისვენებ და ღონეს ვიკრებ,
ვიღაც ამღერდა შვინდნარის გაღმა,
გულიჯავრს ალი იქარვებს იქნებ!
აქ არც ტახია და აღარც შველი,
კლდის მონაჟური ვიგემე მუჭით,
ღმუის ტოტია სევდის მომგვრელად,
მიჯნურს უხმობს თუ აწუხებს კუჭი?

*1967*

***

სულში მცურავი ხო არ შეხიზნე,
(ვერ დავეღწიე გამოქნილ მსტოვართ),
თალხმა გადაჰკრა მთვარიან მიზნებს,
მზეს გავერიდე, მზემ მიმატოვა!
და ეგდო ლეში გაღებულ კარით,
ანგრევდა ქარი... თუ სიო... გრილი...
იქნებ, ციერო, მოვკალით ღამე,
ესოდენ ტკბილი.. ესოდენ თბილი...

*1968*

***

დღეო, რა დარდი მამარგინე,
შხამი დამაქივლე, ჟამიანო,
გული დამაჭერ თუ გამიყინე,
წამით აღარ გინდა დამიამო!
ტკივილს დასასრულით გავიყუჩებ,
ოღონდაც ამამაძრე ტანჯვით სული,
ღმერთო, თუ რამე გაქვს სამართალი,
ჩემთვის მაგასაც ნუ დაიშურებ!

*1968*

***

მზე მიმქრალია, ველოდები მზეს,
არა სჩანს იგი, ღრუბლებში სძინავს,
იქნებ მთავარმა ცის ანგელოზმა
ჩემზე ფიქრიც კი შეაცვლევინა!
და სძინავს მზესა, შუადღეა, ჰა,
მზეო, ჰე მზეო, გელი, კვლავ გელი...
ო, ეს ნისლები სხივგაუვლელი
და შეუმშრალი თვალები სველი!

*1968*

***

ვინ დამიჩრდილა მზე — გიშრის ხალი,
რამ მოგაწყინა, ციერო, დილით,
(ნუთუ ციმციმი ცისკრისა ჩაჰქრა,
ნუთუ შეგახმა ბაგეს ღიმილი)
აგივარსკვლავდნენ თვალნი ბინდისა,
ვარდის ფურცლების მონამვა გწადდა...
შევვედრე ღამეს, მაგრამ უმწეო,
არც წვიმა შეწყდა, არც ქარი ჩადგა.

*1968*

***

ვარსკვლავთცვენაა და ვარდთა თქეში,
აცანცლულ ყურძნის ამარცვლა ფრთხილი,
სასურველ სულის პაწია პეშვი
და თოვლისფერი, ამო ღიმილი...
უსაზღვრო სივრცის მთვარე მცურავი,
ტანის შრიალი და თითნი თლილი,
დაუსრულებლად სულის სურვილი
და... უდარები, თეთრი ღიმილი...

*1968*

***

რაო, ციერმა, ცირცელო,
ვცოცხლობო მე უიმისოდ?
ვარდი გააპის, დამარცვლის:
„მოუცლია და სტირისო!"
რაო, ცისიამ, შვინდებო,
არრა მახსოვსო, იმისო?
მიყვარსო, სწამდეს ბოლომდე
და რაისთვისღა სტირისო?

*1968*

***

მშვიდობით, მზეო, მშვიდობით მზეო,
სულო, ვაი ამ დამშვიდობებას,
რა ვიოცნებეთ, რა გავიხარეთ,
ჩვენის ნაფიქრით ეშმაკი ძღება!
მშვიდობით სულო, მშვიდობით სულო,
(ეს, მშფოთვარეა კაცთა ბუნება!)
ხელსაც ვერ გახებ ვარდის ფურცლებზე,
ვაი, ვაი ამ დამშვიდობებას...

*1968*

***

...ჰო დავიღალე, სიმღერა ისმის,
მე მხოლოდ ვუსმენ ხმას წმინდას და წრ-
ფელს
თუმც უამისოდ ციყვმა მამაცმა
საჭირო თხილი შინ მიიტანა!
მე მოვიქანცე დღეს თოხის ქნევით,
ვკაფე და ვგლიჯე, არ გაქრა კლერტი,
გაღიმებული მომელანდე და
გააქათქათე მნათობმა ზვარი.

*1968*

***

უუვრცესია, უკიდეო,
სივრცე, მთაველი,
ჩემთვის ამ მიწის აღარაა
ერთი მტკაველი,
რა უაზროა შენი სუნთქვა,
ხმელო ფოთოლო,
რა ბედენაა შენი ყოფნა,
სულო, ობოლო!...

*1968*

***

ვის გააოცებს „უძილო ღამე“
„ო, დავიღალე“, „სიზმრები გაქრა“.
გატყდა ზედაშე, დაიქცა ღვინო,
შემონახული ნანინანატრად...
დაჭკნენ ვარდები, ბაღი სულ გახმა,
აღარ უსტვენენ ბარდებში შაშვნი,
აფრინდა ნისლი თეთრ სალოცავთა,
სიხარულისა წყარონი დაშრნენ...

*1968*

***

ამ ძველ წყაროსთან გაუმარჯოს
ორმოცდაცხრაწელს,
სნორედ აქ, წყალთან, კლდეებშუა,
წმინდა წყაროსთან,
ბულბულის ცრემლით ადღეგრძელებ
ასულს, საროსტანს,
რომელიც შენგან შორს არის და
არც არის შორსა,
ვისი მშვენება დაგავიწყებს
ქვეყნიურ შმორსა,
ამ წმინდა წყალთან გაუმარჯოს
ორმოცდაცხრა წელს,
ბებერ მუხებთან, ბარდმორეულ,
ცივცივ წყაროსთან,
თანამგზავრ წიგნებს გაუმარჯოს,
ატარებ როს თან,
მოძღვრის სატირალ წიგნს, ელისოს,
ციკოს, ციციას,
როს გახურებულ ნაკვერჩხლებად
სულში გიცვივა.
რომელნიც ტეხენ ქარიშხალს და
ქუხილს და ელვას...
და გიპირებენ ირგვლივეთში
შამბთა მოცელვას,
საყვარელ წიგნებს გაუმარჯოს,
ატარებ როს თან,
„მოძღვარს“ სატირალს, გლეხის წიგნს
და ციკოს, ძიძიას.

*1962*

***

*რეცენზია მეგობრის ნახატზე „მუხა“*

ქაჯია თუ ქალი, ხეა თუ ბატკვალი,
არ მესმის რა არი, რო გითხრა მართალი,
იგრძნობა ღრუბელთა ნაღველი, საფლავთა,
ამადაც ნაღვაწი არა, არ ჩაფლავდა!
ჰგავს მუხას მძლავრს ქარში, სატევარს
ქარქაშში,
გიჟუას გარეულს ხელოსანთ ამქარში!
წარწერა რუსული, არს ვიწროდ საწყენი.
ცას ვწუნობ ფერუნდილ ნისლებით
დაცრემლილს
ამინ! დე, ფანქარი მოუსვი და... ქარი
ჰბერავდეს მუხებში, მძლავრი და მაგარი.

*1968*

***

ჯუნგლებში, ტყეთა უსიერ ტევრში,
სად ჰაერიან ცის სიშორეა,
უნდა ხედავდე გზას ერთადერთსა,
უნდა ამბობდე — იგი სწორია!
უდაბნოს ხვატში, სად არც მიმინო,
არცა არწივი, არცა ქორია,
უმართლესი გზა უნდა იპოვნო,
უნდა თქვა: აი, ეს გზა სწორია!
შეგხვდება შლეგი, ათი და ასი
ნიღაბში ზოგიც კაცთა სწორია,
არ შეცდე, გადი, გადი და წადი,
თუ გზა მრუდე და არასწორეა!
ხავერდოვან მთის, მოლივლივე ტბის
შემოგარენი ხანაც შმორია,
სწორია, ოდეს ფონსაც დალანდავ
და შეუძახებ: ეს გზა სწორია!

*1967*

***

ვუთვალთვალებ ზოდიაქოს,
ღვინოსა ვსვამ
რო შაქროსან,
ალავერდი
პირად-მზენო,
ფატმან,
უსენ,
როშაქ, როსან!

*1987*

***

ქარაშარო, ძმა ხარ ჯერ,
ცივნიავო და ხარ ჯერ!
გადაგივლის ჩქერალი,
გული თუ არ დახარჯე!
ეგებ გარეს ვეცრუე,
ჩუ, აქ მოდი, მახარ, ჯე,
უცოდველი სუ სცოდავს,
ცოდვილია სახარჯე!

*1993*

***

და... და... ვდექ... ფეხი ვითრიე,
ვითრითინე თუ ვითრიე,
ნუ იტყვი: იბულბულაო,
მთვარიანში ვარ ფითრივე!
რიალი უცვლელ ცთომილთა,
რო გაბრალებენ, ვით რიე,
და... და... ვდექ ფეხი ვითრივე.
მთვარიანს შევრჩი ფითრივე!

*1993*

***

რა სალ კლდეებს შეები,
სისხლი ანჩქრევს ფრჩხლებით,
მიწით მაძღარ დევების
მაწვიმს ნაფურთხლები...
უძღებთა და კეკლუცთა
ყარან მყრალი წლები,
როსღა გამოიხედავს
ღმერთი მოწყალებით?!

*1993*

***

რო მოწანწკარებს ცრემლია,
სისხლგარეული... ძველური,
შენ ვარდებს რგავდი, ასკილთა
ქარი უბერავს ველური!
იქნებ არ სურდა ცისკარსაც,
შემოქნევაი ცელური?
სიცოცხლე ამად ამოა,
წამი გვაწამებს გველური!

*1993*

***

გამამაგლიჯა კანჩალა,
მერე წუკლაკა წავიდა...
დავლანდე მწვანე წარაფი —
მე ეს სიზმარი საიდან!
ბუჩქნარ-ბარდებში ბულბულნი
გალობდნენ წყაროსავითა,
ვემსუბუქები ველ-ტყეებს,
მე ეს სიზმარი — საიდან!

*1993*

## სეხნიეები

მთვლემარს ვაჟა მწვეოდა
დავითთან და შოთაითან,
ჯამებს ალიპლიპებდნენ
გივისთან და ოთართან,
წრიპინებდნენ ხვანჯრები,
ყარან ღამის ქოთანთან...
ჯვარციერო, ლარსიმი,
იხვეწება ხო თანთან...

*1993*

***

რაღა! ყრუი მთვარეღა!
გათხუნული არეღა.
ტკბილმომწარო გავლილი
ჟანგმა დაათარიღა!
ფურცელმოცისფერონი,
წყალდიდროიმ ჩარიხა,
ჟრიამული მიმწყდარა,
სადმე რამე არიღა?!

*1993*

***

არსით სუნი ცხიმის,
არსით გრამი ცილის,
ისევ მე დამწვიმის
შხამწინწკლები ცილის,
რა უფალმან: იყავნ,
მამე ჩემი წილი!
ზოგი, ეგეთ ყოფას
სჯობს მარადის ძილი!

*1994*

***

ოღონდ ის იმას შაასწრო,
(სუ რო უკადრად ლესავ)
ქვებუდნის სულთანადგამო,
წუნკალთა კუდით ქლესავ!
იცი და...ჯადონაპარავს
ამოთხრი, ამოფესვავ,
გვესმის რა მყრალთუხოხნია
ფრთებჩამოფლასულს, სვე-სვავს?

*1995*

***

აწოვებენ ქარნი ყვავებს,
ცისიერთ და ცვართა სურვილთ,
ბობღთა ფიქრთა გაძვალტყავეს
მარტოოდენ წამთა მდურვით!
არც ქარით და არც ნიავით,
ოღონდ ვარმის გავლა ცურვით...
მოკამკამე მარუსკვლავნო,
ჩემშემდეგაც მომეწყურვით...

*1993*

***

ვლახე მთანი და ტყე-ველი,
წყაროსთან ციაგს მე ველი,
გაღმიდან ყვირის მეველე
რა დაგვრჩა წასართმეველი!
თრიმლოვან — ღიჭიანებში
ღმრთისნებით მარტო შეველი...
დაიწილხვედრეს საუფლო —
ეს ლადოა თუ ნეველი!

*1993*

***

რამან განმსჭვალოს გონება,
ან რამან საზღვროს ქონება,
ქონება ვის ეგონება,
ანდა გონება— ქონება!
წაწყმდება მავანთ ცხონება,
ქვაწვია ძუნწთ მოგონება,
მივანებს ღამის დუმილი,
მარადის მთვარეთ ღონება!

*1993*

***

მე თუ არა, ძირძველო,
ლერწთა თავათ ისხლი,
მოცურავს და მოწვეთავს
წინწინათა სისხლი!
მოჰყეფს, ანუ მოჰყივის,
გიბიძგებს და გთოკავს,
ის, ვინც პირველ შთაასხის
სათხიერნი კოკას!...

*1993*

***

სუ რა მოლევს კარდუსთა
სულთსასურველ მადანსო,
ქარსისინა საამოდ
წინათაგან მატანსო,
გაუფანტე ნისლები
საკენსა და მატანსო,
„დაუჩოქე გამჩენელს:
ცამ სამანი მად ან სო?!

*1992*

***

არცრა ართვინი, არცრა ოლთისი,
მპოვნელი უნდა ვიყო კვლავ რისი?
ვუყივი, მტერი შინ რაზე მისვი,
დაიქცეს შენი გვარგანაგისი!
კახის და ნუხის, ეჰ, ნისლი ცისი,
ორთავზღვას შუა ძველთაძველ წვისი,
ედემ-სამოთხე, ჩემი თუ სხვისი,
როდემდი დღენი გაუსაძლისი?!

*1993*

***

მძლე, უძლეველი თავდათავი
თრიმლავს და რთვილავს,
ქართა! ხორშაკთა, ქვემდებარეთ
უნებურ ცხრილავს!
ტეტია გიოს, მემრე ვანოს,
ნიკას და ილას.
უმრავლეს, ყოველს, გაუშავებს
ცისკრიან დილას!

*1993*

## იქნება კილოს მიწუნებ...

იქნება კილოს მიწუნებ,
მოქცევა არ მივარგაო,
აჰა, დაიჭი ფანდური,
თავათ ჩამოჰკარ კარგაო!
„ყვეელთვინ“ ვერ ტეხს ნაყოფსა,
ვინაც ბაყილო დარგაო,
დაუკარ, გულით მატირე,
ნეტარმა თავი ჩარგაო!

*1993*

***

ახალმთვარე ცას ჰფენს დარად,
ეგებ, რავი, ვერ ვლი ცვარად,
მოციმციმე, კანდელ-კვარად,
ბულბულ-იადონის დარად!
არად, მთა რად! ზღვა რად! ცა რად!
სიო ქარად... ძმა რად, და რად!
თუ მამული არ მყოფს ფარად,
რად ბაქბუქი- ჰაიჰარად!

*1993*

***

ცამდე ვიცი, რის ვარ მქონი,
სულზენაა მართლის მწონი,
შავნისლები საჩემონი,
ჩვარნივთები საშენონი!
დიდთავადო, მისტერ, ჯონი,
მთრგუნველ აზრთა იყავნ მგონი,
მიმტევებლურ იათმკონი,
ციურ დარდის იძვრის მღონი!

*1994*

***

ყოვლად წუნკალი ზის მოისარი,
იწყნარებს ქვეყნის დამქუცმაცებელს,
მსუქან ლურთებით ტენენ მტაცებელს —
რაც გუშინ იყო, დღესაც ის არი!
ვავლე საძოვრებს მესერ-ფიცარი,
მაინც ედემი ძაღლმგლების არი...
„მოხან და თესე!“ — წინაპრის არი,
ბრმაყრუ, მაღალზე ზის მოისარი!

*1994*

***

მოვლე ზღვანი და ხმელნი,
გუთნი... ფრანგნი და ელნი,
ტუნდრა... სტეპი და ველნი,
გყვან სატნი, გზათა მცველნი...
სიკლთა... თეთრთა და მინთა
ეშორე, გწამდეს წმინდა,
რქვი: „ოფლ-ნაჯაფრით მინდა!“
ვწერდი და გაღმა წვიმდა...

*1995*

***

ვუყურადებ და ვუტკბები
დიდთა წინათა კივილებს,
დაიცვარ-დააწვიმებენ
წვრილწვრილთა ჩემთა ტკივილებს?
ვინ... ვინ შთასწვდება განგების
ხლართებს ან არწივთ ყივილებს,
გადააქსოვენ სურვილებს
ძეძოვნებს — ჟამთა ჩივილებს?

*1994*

***

მივყვები დაჯაგულ სერს
(მერედა თუ ესმის სერს)
ავსენი შიგნეულს სერს,
რა მოსდის გატანჯულს ერს!
თოფია! ძმა ძმისთვის ტენს,

დამცვრეულს სავარდოს სტვენს,
ბულბული სულს ატკბობს ჩვენს,
ცრემლის და სამსალის წვენს...

*1994*

***

შობილთა მშობელთ: „ნეტავი მზრდით რად,
თუ არ ვისუნთქე მიწაზე მდიდრად,
ღმერთ გავეჩინე, მერჩივნა ჰიდრად
ან მაღალ მთაზე ვმდგარიყავ მკვიდრად!“
...და ტკბილბაასი მოყვრის თუ მძახლის,
წუთისყოფაა და ღრენა ძაღლის...
განაწყოს ხორცმა, გმინვით სულს რა ღლის,
კაცს შეუცვლელად შიში აქვს მაღლის!...

*1994*

***

წევს გარინდული... სანთელი ქრება,
არსიდან ნათლის მცირედი შვება,
მაღალი ღმერთის დე, იყოს ნება,
მაგრამ ვვედრი ცას, ჯერ ნუ მოხდება!
მოვიდნენ, მოვლენ ერთნი და ორნი,
დაფრინდნენ მხრებზე ორბნი და ქორნი,
დიდროიმ წყალთა წარულნოს შმორნი,
წმინდანთა ქართა აღმართონ ტორნი!

*1994*

***

სარკმელთან მთვარე, ალბათ ხუთისა,
სწოვს ყოველივეს, ნაგროვებს მზისა...
ცივდება დედა... მიწის და ცისა,
ღრუბლის და მთისა და შავნისლისა...
დედა პატარა... დიდმდინარისა,
უმცირეს ტყისა, თრიმლიანისა...
სარკმელთან... სცვივა ცრემლი ტყვიისა,
იცის... მოვიდა... ისაა... ისა!

*1994*

***

რა დარდი თიბე, რა სევდა ცელე,
მრუმე ჭალებში გდის ცრემლის ღელე...
ვერანაირად ვერ შეეშველე...
მიდის... რა რჩება?... სიცარიელე...
ავბედისათვის ვერ უთქვამს: არა!
მტრისას, რაც ოფლი და ცრემლი ღვარა,
პური არსობის ფრჩხილებით თხარა,
რათა ნაშიერთ მზისქვეშ ეხარა!

*1994*

***

ვართ და ვბოგინობთ კვლავ და კვლავ მათით,
დიდთა და დიდთა გაწვდილი თათით,
აჰა, და ეგე: „მაგ სერზე ადით
სად ისულდგმულებს ძმა-ძმით და და-დით!
გვკადრებსღა ჯუჯა: „თვის მიწით წადით?“
დიდწინაპართა ვინც ლანძღვით დადით,
(თვით უსარევლო მკვებავი მჭადით)
თვითვე იწილებს სამსალას ქადით!

*1994*

***

ო, ღმერთო ჩემო, სად სუფევდა მანი მანამდე,
მარქვი ჭირთმთმენი ღმრთის წინაშე ვიყო
სანამდე.
სად წყაროული წკრიალებდა ანა ანამდე
ან გვემა-სვრემას ვით იტანდა ერი ან ამდენ!
სისხლისმწოველთა, კაცთმოძულეთ სულ
ეგდოთ სუკი.
ჯალათთუდიდეს უთანაებს ნიადაგ მუქი
გამცისკროვნებლის, დამაშვრალთა სულთა
სულ მშუქი,
მარად და მარად უნებურად თვით
ხდება მბუქი...

*1994*

***

რამეთუ ნისლებს – გაუვალ ჭალებს,
ღრძო გამოხდომებს — (უამურ მჭვალებს),
შლამდუდღუნებას – სხვათაც მაწვალებს,
შორს, შორს ვუძახებ – ყრუ მაჩანჩალებს,
ვუფერებ იმის გახელილ თვალებს,
სურვილით ავსილ – გაეშვას ბრჭყალებს...
კვლავ და კვლავ ციურ ნოხსა და ხალებს,
გაუგებს მრწემთა... და მათ ნაკვალევს...

*1994*

***

ციურად სჯიან ვართ თუ აქ ვინ ვით,
დალუკმვას ლურთის ნუ ვცდილობთ
ღრინვით...
ნუ მწარეს ვპოვებთ, ნუ გვაწვიმს გესლი,
ხნული ვაპნიოთ ძმათძმობის თესლი!
არსად ვეჯიბროთ მავანთ და მავანთ,
ხელთუყარმყოფელთ, მარამა მჩხავანთ...
თოვს სანუკველი... თვლემს გარე არე,
ჭვრეტს ბებერ მუხით – ბებერი მთვარე.

*1994*

***

ე, ხო, მამული მიიგდე, ვანო,
რაღა გაცინებს, ადექ და ხანო,
დაარტყი თოხი, მშიერო ხანო,
ღამ-ღამ იძახე — ხან ვაი, ხან ო!
კაფე და თესე — ველი ამწვანო,
კაცთ გამოეყავ ნადირის მგვანო.
გვამმა, მსურველმა, სად გსურს იფხანო,
მორჩილობს ამას რამეღა – ვანო?

*1994*

***

ლოდი არყოფნის დასველდა თრთვილით,
გული ჯერ კიდევ ფეთქავდა დილით,
დაშრა... განიბნა ღონე და ძალი,
გაწყდა სიცოცხლის მთავარი ძალი!
მის თბილ მობერვას ნუვინღა ელის,
წინათ ხმებს ერთვის ქვითინი ლელის,
გესმათ სივილი ალესილ ცელის –
შავის – ოთხმოცდაცამეტი წელის...

*1994*

***

მოჰფენს შუქს მთოვრის ზეციერი
შვინდთრიმლოვანებს,
ალბათ ივახშმებს, ან სულ ცოტა დააგვიანებს,
და სულ მცირე ხნის მერე მოვა, წამოიხრება,
წასულთ სავანეს გადეშლება ნათელოცნებად!
ახალაბურცულს აოქროებს, რაც
მაღალს შვენის,
ვითომ არ იცის, აქ ვინღაა, იწვის ცათ მფენი.
(მძიმეა, სულო, მოსვენება...
(ღმერთო, მიხსენი!)
აქ მშობელია... მიუტევე... აშორე სენი...)

*1994*

***

წვიმს დაჟინებით, ძველისძველ გზებით,
მოდის ღელენი... და რუვნი გზნებით.
აზის ყორანი ფისისფერ ფრთებით,
მშობელთ ძვალთსალაგთ – შავი ნისლებით...
არ დაუშალო ბოლო სრა მისი.
გა... გადგი, ცაო, ბაგე, სასმისი.
წვიმს და... არ მინდა დაცემა სხვისი,
კალოა გული ცრემლის და მცვრისი...

*1994*

***

ათოვს და აწვიმს ცა მგლოვარი მისეულ
ჯღანებს,
ტბადმოლივლივე, მოოქროვილ სათიბს და
ყანებს.
მოარშიებულ ტკივილებს და ორლესულთ
მგვანებს.
აწვიმს და ათოვს ცამგლოვარი მისეულ
ბანებს...
გამომეცხადე, შემომზევდი, შემოხსენ კარნი,
რომ შენი სული, შენი ფესვი, არ იქნეს
მხმარნი,
არსთგამრიგისგან ბაბილოვნით იჩრდილე
მზვარნი,
გამომეცხადე, გამომზევდი, განახვნე კარნი!

*1994*

***

დამხრჩვალ ცრემლებმა უპენი მიწვა,
კაცთ არ შვენისო ხმამოთქმით გლოვა,
სიცოცხლეშივე გიმძიმდა მიწა...
შენი აჩრდილი აქ აღარ მოვა...
თოვლით და წვიმით, ქარით და ღვარით,
ძვალთა და ხორცთა აყალოდ ქსოვა...
გაწამებულის რა ერქვა ყოფნას?
ლენცოფამოსმულ ძუძუთა წოვა!

*1994*

***

თითონ გოდებაც იმუმლება...
მუდარა იყავ ხორცშესხმული,
ნუ გამწირავთო, ნუ მომკლავთო,
არცა თბილ სიტყვას გამოგთხოვთო,
დამხრჩვალი ცრემლი უმძიმესი,
ავბედზე ავად გადაბმული...
გამომეცხადე, გამომზევდი,
ვიცი, წკვარამი შენთვისაა...

*1994*

***

წახველ, შენივთდი წიაღსა ცის, წიაღსა მიწის,
სხვა ყოველივე ბუნებამ იცის...
უმთავრესია! მყარსა ზედა შთენილი იწვის,
ვერც კლდეთ ჩაიქცევს, ვერც რაიმე მკერდსა
ზედ იცის...
დაე, განივრცოს, განიბნიოს, განისლდეს,
გაწვმდეს.
მოაქუამომდე საწამებლად, რაც იყო, აწმდეს.
ღვთისნიერ მწერთა, მომუშაკთა ვალად მე რაც
მდეს,
საგვარტომიო, საუკუნო დიად ჯაჭვს აცმდეს...

*1994*

***

უმეტესწილად თავი გიყვარს,
სხვა კი მტერია,
შენს სიბრძნეს თუ არ ეთანება,
შტერზე შტერია...
იყავნ დამთრგუნველ უგვან ხმათა,
რაიც მტვერია,
ამაღლდი ცამდე, განიწმინდე,
ვითარ სწერია!

*1994*

***

ბრწყინავს ბაჯაღლო – კეთილის
თავის სიცოცხლის დღენი,
ეგრე მიწაზე ხარობენ
მაცოცხლებელი ხენი!
(გარითმვა ძაან ძველია,
ახლა ჯერია შენი...)
წინაპართ დარდი შუქია,
ყოვლთა, ყოვლმთათა მშვენი!

*1994*

***

შენთან რა ფონი ჰქონია
გარგარე შარვალჩახდილთა,
მოლაყბე, მოსისინეთა,
გამყიდველ – ნამუსახდილთა!
ნადავლისათვის ნაჭირვებ
ავლითა... არა დაღლილთა,
ბულბულთა, ვარდთა სურნელთა,
ქეშად მსმენმყურთა-თაღლითთა!

*1994*

***

წამების წამება რაც არი, ვით არი,
(ზეციერ მამების ნახევი ქვითარი),
ნაჟეჟ სულთ საოხი, ნაგები — ქვით არი,
დათოვა მწვერვალებს — იფიქრე, რით არი!
ძაანაც ნაზია... რაც არი, მცვრით არი,
თუ რამ ლამაზია, ციაგთა წვით არი!
წამების წამება წამური ვით არი—
თრიმლიან სერების ყოვლთაფერ მქვითარი...

*1994*

***

არა! სულო, თუ გაბეზრე,
თუ გავბედე მე ურჩობა,
აღუკვეთოს მაშინ მზემან,
ლომ-ლომობა, მაჩვ-მაჩვობა!
და დაიწვას ყანის სტვირი,
პრკე-პრკეს ეკვროს, ლექ-ლექობა,
და სამყოფლოს შემოევლოს
თურქ-თურქობა, ლეკ-ლეკობა!

*1994*

***

ვერც მარანი ავაშენე,
ვერც საბძელი ჩავდგი,
გახლართულმა, ღიჭიანში,
ბიჯი წინ ვერ წავდგი!
რა მიმქონდა... სამთვარეოს,
თვალი მკარ და დავდგი,
გიხაროდენ, სისხლმწოველნო...
ამა სოფლით გავდგი!

*1994*

***

ვარდი შენ და ქაცვი მე,
ღელევ, ცრემლი გაწვიმე,
შეგიძულეს, წაგრიყეს —
საით, სულო, ანი მე!
ქრება წნელი საკაწნე,
ტოტი ტყავის საჭიმე,
გკადრებ, ცაო! ღრუბლები
კვლავ წამოვლენ, საწვიმე?!

*1994*

***

ძაღლი სად, როდის გისრიალებს,
ბედზე ვთქვი, კბილებღრჭიალაზე,
ამაღამ ცისკარი იციალებს,
ხვალ კობრა დაჯდება ფიალაზე
ჯანღი უსაშველო ჩაცუცქდება,
(აფთარი შამბიდან მიკიოდეს!)
ოხერი: (ეგრეა!) — გასუქდება,
ნათრევ ლეშს დაუყრის მიკიოტებს!

*1995*

***

ვტირით ო, ერთ ცით, და არა ორ ცით,
ჩვენ ჩვენი სულით, ჩვენ ჩვენი ხორცით,
მარად ვბოგინობთ ცრემლისა სწორ ცვრით,
ჩვენ ჩვენი ხევით და ჩვენი ბორცვით!
ტიტველ მთათ, რომელთ გულყია სტკივათ.
მუშტების სიმსხო კურცხლები სცვივათ,
უნუგეშოებს ტანთ ზარავთ, სცივათ...
სცივათ და სტკივათ... მოხევე სტკივათ!...

*1995*

***

წვიმს, მოვა შამბი ... სდგას კაცი ცელად,
ბალახი თიბოს მუხლად და წელად,
ფურებს დაასკდეთ ცურები წველად...
გვყვან მზვერნი ასნი თითოსა მცველად!
კავკასის ქარნო, მთათ სამხრეთ ფენას,
გითხრათ სანუკვნო, განამქრევთ თქვენა?!
(რა მერითმება, ბრგვილდება ენა! —
ჩემყენაა თუ მტრებისყე—ზენა?!

*1995*

***

ძალმოსილი ელავს ხიშტი,
ზის კარავში წკვარამმცველი...
მტრედფერულზე პიანისტი —
მგელფერულზე შაშვის მკვლელი!
გააქვს ჩაქუჩს დაგა-დუგი,
მზა ბორკილი, სივის ცელი,
ცისიერზე ვით ფინთთ მბუგი
ალიონზე ნუკრის მკვლელი!

*1995*

***

არც მირიანს, არც ფარნავაზს,
არც ერეკლეს ვგმობ,
მე ვინა ვარ! — ცისმიერთა
სამართალთა ვხმობ!
წიხლჩაცემულს, წადღავებულს,
ხელს ვტაცებ და ვძმობ...
შუაღამურ ტყეთა შრიალს
ძილღვიძილში ვგრძნობ!

*1995*

***

რო ვაშენოთ, დაკუთხული
ავიღოთ და დავადოთ ქვას,
რას მაწამებ, რაზე მლახავ,
რად მაგინებ — კაცმა რო თქვას!
მულღანზანზარს, გულანშაროს,
ვის აუგი ჩემზე ეთქვას —
მაშინ ცათა არსთგამრიგემ
ძირს ბურთივით დამახეთქოს!

*1995*

***

სულიერთ ჩინი უქრების?—
ხამს მუნით აიბარგოს რო,
მნათმა ჯანღთაგან ნაცარნი
მრწემთათვის ნერგი დარგოს, რო
ამაიყარნენ, განახლდნენ,
თავი ზოგმ წიგნში ჩარგოს რო,
ამობიბინდეს, ივარგოს,
იერქვნოს და იჩანგოს, რო...

*1995*

***

შენ შენი ჭია ახარე,
მთავარმა თავის ჭინჭველა,
შენ არ იკითხო, არ გინდა,
ვინ აძოვა და ვინ წველა!
ღმერთიდანაა: განივრცოს
ჯამაათს ადათძირძველა,
მსწრაფლ წარუხოცოს სვეშავი
ბაგეთ არმშვენი სირსველა!

*1995*

***

ღიჭიანებს მეედე,
ხმორდლოებს და ხნარცვებს.
„წმინდანები“ წაგადგნენ,
წაგიგდეს და გცარცვეს,
თავნასიებთ არ უყვართ,
კვალი არც ის, არც ეს,
მოციმციმე სანთელთა
მჭვრეტნი ჯვარზე აცვეს!

*1995*

***

ეგრე... და მერე... დღეს მორჩა კავა,
მზე ამოდის და... რო უნდა ჩავა,
მე ვინა მკითხა: ვის უმძიმს გავა,
ვის საამური დაუდგა ჰავა!
ყველა თვის ბედის ჩექლიმზე გავა,
ვის „პეპსი-კოლა“, ვის „ფანტა“, ყავა,
რაა არსობა, მარქვი მე: დავა!
ყოვლთა შემმუსვრიც — მიწამდე დავა!

*1995*

***

არც პარკინსონი... ჯერ არც პოდაგრა,
მარა მრუმეებს კირჩხლი ერია,
ციცნათელები კუნძებზე გაქრა,
შვინდანწლა ასკვნის: „ეს სიბერეა!...“
თუა მთოვარე, ცისკარი, შამბი,
ცხვირწინ უტიფრად სძოვს სებორეა.
გაიში, ტუხტი, ბზა, ზედა! ზედა!
ჭვრეტს ულეწელა: ეს სიბერეა!

*1995*

***

სულ ამაოა მიდებ- მოდება,
დიდთა და მცირეთ წინარგოდება...
ცრემლთმოწვიმება, ცოდვილთ ცოდება,
ვარდის (მიმჭკნარი) ტოტის წოდება
წინადღის ფიქრი ილტვის სხვა ფერად,
წამებულობდი, გწამდა ნაფერად,
ბებერი ქარი გყვა შინაბერად,
გველის ნასუნთქი ღვთის სულნაბერად!

*1995*

***

როგორ და... რატო არ გინდა,
ცაც იყოს... ღრუბელნისლიცა
ქვაც ბევრი იყოს, კაკალიც,
ლელლაქაში და... ისლიცა...
მუხნარიც იყოს, ჯაგნარიც,
ძეძვიც და იმის ქვისლიცა...
მოხასხასებდეს ლაკბიპირს.
ტყემომწვანობდეს, ფითრიცა!

*1995*

***

რქა რქას ერჩის, ღონე-ღონეს,
გონი-გონსა, დონე-დონეს,
სრა-ჩალურებს, თონე-თონეს,
მცირთა დიდთ რა მააწონეს!
უცვლელია: გვამთა მკონეს
სულთბილწობა — როს გაგონეს!
უგდე ძვალი არას მქონეს,
მიაცილე გზად საფონეს!

*1995*

***

სული წმინდა... ყველაწმინდა,
წყარო წმინდა... ცაც სხვისა,
შენით მინდა, გულით მინდა —
სურნელება ცაცხვისა!
ჭირთათმენა დიდმცირეთა,
ჩემთა, შენთა,... ყოვლისა,
იბიბინებს მწვანე მოლად,
ბაგე ღიმილმთოვლისა...

*1995*

***

იყო შრიალი დიდ-დიდის
კაცთა სადარი ნაგრამის,
ქვაც იდგა, ცათა ნამბორი,
შუა ჰოსა და მაგრამის...
მი, ზვერე, მიდი, დრო ჰოა...
კოდის, კილოსი და გრამის...
გუშინდელს ჰგმობენ, სწუნობენ,
ბატკნები მამა აბრამის!

*1995*

***

რა გადარდებს, თუ რომელი
ძაღლი სად ჩაძაღლდება,
მქონებელი უქონელის
ძვლით და ხორცით მაღლდება!
უცვლელია დრო თავისად,
ვინმე ფიქრობს: ახლდება?
კეთილი და მაზნეველა
მყარზე მყარად სახლდება!

*1995*

***

მაზნეველს ვაზნარის ვავნო მინდა...
მცურავი მასუნთქებს ნავნობიდან...
უდაბნო... წალკოტი... მთაბარია,
სულ ერთი სიცოცხლე გაბარია!
სპეტაკი სარკმელი... საოსტიგნო,
წვიმის და არილის ვინ შეიგნო?!
ომები... ჯანყები... სისხლებია...
დრონი და დღეები ისხვლებიან!

*1995*

***

ვკრიფე და ვკონე... ვარდები ვკონე...
ქილიკ-ცინიკი: „მაგიც ანწლია“
წამების წამი ვის გააგონე!
„ვაჟა და შელი აგიცანცლია“,
რა მოცვარული ვლიდი, ტოროლის
ნაწკრიალევი ველი შაგცვლია,
შავადშებურვილ თრიმლოვანებში,
ნუ დაეცემი — ყვავმა დაგძლია!

*1995*

***

იცი, ცა რას გიშვრება?
წამწზე ცრემლი გიშრება...
მიგაქროლებს ავბედი,
ლალი არ გეგიშრება!
ჩაქანებულ ღელისპირ
ძველქანობი იშლება.
წკვარამია... უკუნი...
გარეთ არ გაისვლება!

*1995*

***

კიდე ვერ ხვდება ბიბინა,
გონთ არ ეგება ბუილა,
საწყალ კვესანამ ტაროსის
არც თუ შეიცნო ტყუილა!
ტყემალზე შეჯდა კროცანა.
აზრზე არაა ბუქია,
მყარსა ნაფურცლი ვარდნარი
ბულბულსაც ამად უქია!

*1995*

***

არა... მე [ხო... მასავით
იმ დიდსავით... სხვასავით,
ვერასა ვიქმ... ულრიალებს
სიმი, წმინდა — ცასავით...
მთით წამოსულ ნაზვავებს
ვუმაგრდები ქვასავით!
ნახვეწ, ნაქსოვ ჯვალოებს
ვშლი ნისლებზე ძნასავით!

*1995*

***

ღრუბელთ შაიკრეს პირი,
(მიდამო ბრმა და ყრუა)
აწვიმს ხევისბერს, ტირის:
„წადი, ონისე, დროა!
სამცხეს, ტაოსაც მისდექ,
(ქვეშ ჩვენი ძვლები ჰოა)
არრა, არ დაანებო,
წადი, ონისე, დროა!"..

*1995*

***

მოეშვი წრეს და ქორდებს,
ნაწვიმ-შაბურვილ შვინდებს,
მწუხრთმოოქროვილ კორდებს,
ამაოდ ნაჭიმ მშვილდებს...
ისევ ჩალიან წნულებს,
გსურს მგელი ჩამოსცილდეს,
გაუვალ ტყეებს მისცე —
ვინც ტკივილს სანთლად ინთებს.

*1995*

***

იგი ეკიდა კარებთან, იქვე,
მოიწუნკლავდა შუბლს და ყვრიმალებს,
შეიმშრალებდა და... უნდა ითქვას,
იქვე ჰკიდებდა... არას გიმალავ...
ამას მოსდევდა დიდი და მომცრო
ბებია... მერე, კვლავ სამი მრწემი...
ის „პირსაწმენდი“ ძველგაცრეცილი —
მწარე ბავშვობის იარა ჩემი...

*1995*

***

ვიცი დიდებულს სასხვისოც
და სათავისოც ჰქონდა,
თვის გვარტომისთვის პურღვინო —
მტრებისთვის გრიგლად ჰქროდა!
უჯარმით, საიორიოთ,
არაგვ-ალაზნით ცხონდა!
მამულის მაღალ ღრუბლებსა
რა ოქრო გადასწონდა!

*1995*

***

რითმა შუქია... სიტყვა კი
ხან ელვა, ხანაც ქუში,
ვინცღა მაღირსა ჭიტლაყი
„მაგ სუროს ხელი უშვი!“
განა შენთვისაც შრიალებს,
თელა, წნორი და ნუში,
ან „ახალვანოს“ „ლამაზო
ქალო“ და ... თბილი „ჩუში“

*1995*

***

ცრუმანჭვალა, კვრინჩხი, ქამა,
ღვინობითვემ ათამამა...
ყრუქარქაშში ყმუის ყამა,
წივის ქარი, წივის კამა.
ჰარმონია, გლოვის გამა,
ვინ ვინ არი, ვინ რა ჭამა.
იშვა ხორცი (შობა რამა),
გდია ბედი — ყვავის დამა...

*1995*

## ს. მოჩხუბარიძეს

თავთით შენი ტომი მიდევს,
ერისათვის სანთლად მნათი,..
ღმერთმა ეგ რო მაახდინოს
სულეთიდან დამკრას თათი:
ცოტა წნილი, კიდე წნილი,
ვაზის წვენი სულჩამნათი...
კაცო, რაც შენ ცრემლი ღვარე,
სხვის ხუთია- შენი ათი!

*1995*

***

ყველას თავის თემშარა თუ ჩექლიმი აქუს,
ზოგი გაჰკრავს ტელავივს, ზოგი აქვე, ბაქოს.
კაცმა არსაქებარი თუკი უნდა აქოს,
ცოტა უნდა ერიდოს „თავი დაბლა თაქოს“,
„ეგე! ეგე! ვინა ვართ“ — ჩირაღდნებზე ბუქეს,
ჩრდილზე ჩაისვარსველეს, გვამი გაამუქეს,
დაესივნენ სამანებს — კოლტი გაასუქეს,
თავად აუგსათქმელთა — საქციელი უქეს!

*1995*

***

შარშანწინ... წკრიალ-წკრიალა,
თქვი, წელსაც ის ტოროლაა?
გარს და შიგანს რო უვლიდა,
ნუთუ იგივე თრთოლაა?
რო იღრიჩება, სულკატა,
სულშავი, ჩემიტოლაა?
მიწის, ცვარ-ნამის შემკობა
განა ნაცარში წოლაა!

*1995*

***

ცაი მაშრიყით ფრთონავს ოცნებით.
მავნე მუქარით,ყამით,ხან ცელით,
მგონი მოადგნენ ლოდსარტყოცნებით,
ველურ ყიჟინით და ღრიანცელით!
მედგრად, მამაცო მეციხოვნენო,
წინათ ძახილებს ფიცთნაზავებო.
უყივლეთ: მტრებო, ვერას გახდებით,
ჩაიჩუმქრებით — ავად მზვავებო!

*1995*

***

საცნაურყავი ძნელსაცნაური,
თვით ცთომილებსაც გაუვა ყავლი,
მარქვი, ციერო, ჩემი ხმაური
სურდოშეყრილის ამონახავლი.
ვის ესურვება, ვინ რითა კვირობს,
(ფინთად ერევა ლაფი და ნავლი...),
დღეს წაასვენეს საწყალი ფირო...
კურთხეულ იყოს უფლის ნადავლი...

*1995*

## კოლა

წევს... (რა ქარია...)... ხრავს... იტანჯება,
თავთ უზის საბნის გამსწორებელი...
მოაშავშავებს მრუმეხვანჯება
წამწარმავალი, წამის მსწრობელი...
ძველი მეჯოგე! ჰაი, დედასა!
სულუყიდველი, მზის ამსწრობელი,
მშობლიურ ჰანგთა (ნატიფთა) მეტრფე,
სპეტაკი, არვის გამქიქებელი...

*1995*

***

ვიცი, ჩრდილოით ამოვა „დათვი“,
აყვავდებიან საყვარლად ნუშნი.
გამთენიისას დამხედავს დათა
და ეგებ... რავი, მოვიდეს მუშნი.
დატრიალდება სურნელი ტევრის,
მომაყრის ვარდებს ყინვა და თოში,
თუ გული გულობს, ზიდე სატევრის
დიდთავსააზრო ჩემს საუფლოში!

*1996*

***

ექვს ათეულის ზამთარი მარწყე,
მოწამლე ხორცი, მიმსხვრიე ძვალი.
გაბნელუკუნდა ზეობის მარწყვი —
ვარ იძულებით ადგილნაცვალი!
მაწვიმს სერობით დაღლილი ცრემლი...
გაეც, ვისიმე თუ რამ გაქვს ვალი,
წაჰგვარე, ჩირგვნარს მი... შეეხიზნე,
უცოდველ კურდღელს უსწორე თვალი!

*1996*

***

სად არ გიგია მახე,
ახია შენზე, ახე!
რად ვერ მუუხვდი... დახე!
ჩხიბე... ხლართე და ჩმახე...
მოლი გადარჩეს და ხე,
ჩვენეულს ჩვენი ახე!
ამ დიდს და ძაან დიდსა
ცად წაუმზევე სახე!

*1996*

***

თუ გაგიშვებდა ბურვილი,
სით მწვანის სუნი გცემდა,
იქ რისთვისც იყავ შობილი,
რის ერთადერთის გწამდა...
მაშინ ამდენი ჩამუხლულს
წაქცეულს ვერა გცემდა!
იყავნ ბედნიერ... მე მიყო
ბედისწერამ და სვემ და...

*1996*

***

ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას ვარსკვლავების ჯარია.
დილით მზე მანათობელი,
ღამის გუშაგი მთვარეა.
მდიდართ სიმდიდრით ღიღინი,
ბეჩავთ ქვითინი მწარეა!
ცრემლთა ამისა მდინარი
ვაჟა-ფშაველა არია!

*1996*

***

რა ცუდად, ჟამო, მიმაგდე,
სული არ მამათქმევინე,
ღელიპირ, ჩაფარებულში,
სათქმელი არ მათქმევინე!
წინების ლამპრის ნათელი
ჩამიქრე, წამაქცევინე,
ლენცოფიანში მაძოვე,
გეზი არ შამაცვლევინე!

*1996*

***

მოციალე ღამეების დაძონძილი ჯვალოები,
უძველესი ჩალურები, ძნაჩაშლილი კალოები,
ან მიწად და ცად ქცეული, მოფასფასე
ძალოები,
მტვერდადებულ ჩონგურებსა გეაჯები,
ძალო, ები!
ტკბილზღაპრებით გატიკნილი სკივრები და
წალოები,
ატროკებულ სახედრების დაგლეჯილი
პალოები!
ციაგებენ გიოები, გორიები, სალოები —
დალეწილა ბალღობის და სიყმაწვილის
ალოები...

*1997*

***

რო გაჟრიალებს საამო,
ლაზო, ვისია ეგ ცა!
„დავბორიალებ ხევებში
კვნესა ღმუილად მექცა!
გამგები, წყლულის შემხვევი,
წავიდა, შორს გამექცა.
ძველთუძველესი ნაგები,
ზეთავზე ჩამომექცა!“

*1997*

***

ისევ მცურავის გესმას
მოდგმით, ჯიშით და გენით,
კაცობრიობას გესლავს
უკურნებელი სენით!
ცილისწამებით, ლიქნით,
ეშმაკის შავი ძღვენით,
ჭორებს იწველის ჯიქნით,
ძღება ნარეცხი წვენით!

*1997*

***

ვისაც თოკი ჩავაწოდე,
ჭაში ჩავარდნილსო,
ის მაბრმავებს, ის მაყრუებს,
ის მაყენებს ჩრდილსო!
არ იშურებს, ლაფი მამცხოს,
გზაკვალდაკარგულსო!
რა ძნელია, ეგრე ყოფა,
სუნთქვა ძაან ჭირსო!

*1997*

***

მოხევის ნალოლიავებ
მამულს მეც ველოლიავე,
ხმალდახმალ მიველ მომხვდურთან,
ვიგმირე, ვიილიავე!
ვახმე რო სვავი აჭარბებს,
კეთილსა ჯიჯგნის სიავე.
სიცოცხლე, ცის ნაბოძები,
ამაოდ გავანიავე!

*1998*

***

ავგიას თავლა ავგიას
ოქროს ცოცხით რომ უგავო,
არ დაინახავს ბრმა თვალით
უხერხემლო და უგავო...
მჭვრეტელსა. შეხეთ, რასა იქმს,
საგველა რასღა უგავო!"
ძაღლია ჩვენი საწუთრო,
ჯინჯილიანი ცუგაო!

*1998*

***

თებერვალია... და თუ მთვარეა,
მგონი, წავიდა ცეტი ამინდი,
მფეთქავს არაფრის არ გიხარია,
ალბათ გაკლია „ცე" ვიტამინი...
ლაკბიპირებზე წისქვილებია...
იქაც თექაა და ქოხწნულები...
თავბრუდამხვევი ასკილებია,
გამოურწყავი ჩვენი წყლულები...

*1998*

***

ისევ ნათეთქვის ქვითინი,
ნაქარგი თექის ძაფითა,
ვპოვე და ციმციმ მოგართვი,
არა ზათქით და დაფითა...
და დაიგრაგნა დრაკონი
დორბლით, დუჟით და ქაფითა!
ბუდე ბულბულის გამტფარი
ტიალმან როგორ დაფითა!

*1998*

***

ვერ ვეცრუები, ვერ ვიზამ,
რო ჰგოდებ: მაშვრალთ რა ქნანო,
ხელგაწვდილებმა ილოცონ,
გულგვამი სანთლად გაქნანო!
ქვედამხობილთა იხოხონ,
ულრანს ჩექლიმი დაქნანო,
ჯვარს ეცვან, ხორცი აწამონ,
სულთა ღაღადი შაქნანო!

*1998*

***

აქუჩებს ნაშალ ქვიშაქვებს,
(გადაყრილ, ნაქარ წიწვებს)
ბუჩუნტო კოშკი ჰგონია,
წვალობს და აკოწიწებს...
ბულბულთა დანატირებსა
კალამს ბალღამში მიწებს
დაუდონდგოლოს, ეგება,
ტკივილი მშობელ მიწებს!

*1998*

***

გლეხო, წალდი თუ დაკარგე,
ნუ მიაყოლებ ცულსაცო.
ხორც რო უვლი და ასუქებ
ხამს მოუარო სულსაცო!
სხვათა იარით ნაჟური,
ცადე, საკუთარ გულს აცო,
ტყე-ველის, შენის, ცვარნამი
ეთანაება რჯულსაცო!

*1998*

***

„მამატა“ — დანაყრებული,
მძორით ნალეში ჩხავის,
უშლის რამეს თუ არ უშლის,
თელავს და შხამავს ყვავილს,
„ჯვარს აცვით“, მტკივა კვირტების
კორტნა უცოდველ კრავის,
ო, ზენაარო, ციერო,
მამცნე კარგის და ავის!

*1998*

***

ირგვლივ წყვდიადი სუფევს მღვიმური,
შმორის და ნესტის ცივი ღამეა,
გულქვა, ქირქილი, ქლესა, ცბიერი
და... ყოველივე უღიმღამოა...
მიმალავს ცაი ცისკრის მონამულს,
ის ჩაძირულა... ის არ ამოვა,
რადგანაც ნისლი ძმად შემეფიცა,
რადგან ყოველი უღიმღამოა...

*1998*

***

ამსკდა თავის ქალა მეთქი,
მაგრე არა, ძალა მეთქი,
წაბილწეს და დაითრიეს
შენი ღრე და ჭალა მეთქი!
წინათ ნაგრამს დააყარეს
ჩამომპალი ჩალა მეთქი,
შუქთამამო, შენთანა ვარ
მაგრე არა! — ძალა მეთქი!

*1998*

***

სარეკელა ქეჩოს იფხანს,
მოსუსხული იფქლი სცვივა,
ამაოა შენი ჭიპხვა,
გათანგულსა ისევ გცივა!
რა ვარდები მოგაქოქლეს,
ყარს სენაკში ძველი წივა...
სიყმაწვილის სული მოკლეს,
სასუფეველს შინა მივა!

*1998*

***

საქვეყნოდ გაგათახსირა,
მანდილის მოხდა ბედაო,
ხატი და საგანძურები
დაამხო ზედიზედაო!
მოიწევს გაუმაძღარი,
წინებზე უფრო მხნედაო,
არვინ არს შენი მშველელი
ვაი, ქართლოსთა დედაო!

*1998*

***

თუკი ნატანჯ და ნაწვალებს
ბრძენი ოდესმე დამხედავს,
იტყვის და გაუნიავებს
„ე, რალამ გაათავხედა!
ვინ აშრიალებს შაირთა,
ედემის ბაღში შავხედა“
გამაჟრჟოლებს და უფსკრულში
თვალჩაუწვდენელს ჩავხედავ!

*1998*

***

წამოვა წვიმა „თავწვრილმიწიდან,“
გაღმა გორები ფერებს იცვლიან,
მუწუკის წამლის ფრიად იცი და
გადაცემა კი არ შეგიძლიან!
შავფიქრთშალალი, შავლაქაშებში
ჩაშვავდება დ ჩაპირქვავდება,
ობლად ბულბული იწყებს გალობას
და... ყოველივე აკამკამდება!

*1998*

***

კიდევ რიყე და კიდევ ვალალი,
კიდევ შლამი და შავფიქრთ შალალი,
ხროის სულბნელთა თარი-თარალი,
კიდევ გულების მკორტნი — ალალი!
ტყვიის ცრემლების მალვით სალალი,
ტოტი ნამცვრევი ვარდის — მაღალი
ცოცხლად გაწირვა კაცის — ალალის,
სულთა იხრჩობა ოქრო და ლალი!

*1998*

***

ნუ იცრემლები ნაწვიმ ვარდებთან,
ჯანღებს ნუ ხვდები სველი თვალებით
თორემ თვით ღმერთიც დაწვრილმანდება,
აცუნდრუკდება შენი წვალებით!
გწამდეს, წამითაც არ შეგიცოდებს.
თავს შეგახსენებს ბასრი ბრჭყალებით.
დაიხსომე და მუდამ იცოდე —
ფიქრთა სხვა გზებით ნუ ელალები...

*1998*

***

თვალს მიხვევენ დღისით, მზისით,
უფლის ნებით, თუ რამ სხვისით,
ჯიბე-უბეს ისქელებენ
ჩემითა და სხვათა ქისით!
ქუდბედიანთ, იღბლიანთა
ტკბილს ასმევენ ბროლსასმისით,
რომელ ზღვიდან მოცურდება
კარაველა დიდსაზრისით?!

*1998*

***

ლენცოფა და თიავქასრა
გინილხვედრა ბედმა,
გაგიძოვეს თხებმა ქერი,
ქვედაგამხო ფეტვმა!
კლოუნთა და ცინიკოსთა
თვალთუხილავ კეტმა,
დაგამცრო და აგაცრემლა
სევდამ, სხვაზე მეტმა!

*1998*

***

მოცოცავს ცრემლი დაღარულ ღაწვზე,
გვემით მისდევენ კვირებს კვირები,
სუსხი და კირჩხლი კბილთ აკაწკაწებს,
ყრუ და მრუმეა ზამთრის გვირაბი!
და ისიც მოვა... იჟიჟრიბანდებს,
წყლულს დაგიამებს მთათა ჟირაფი,
შუქმოიმედე ედემი სჩანდეს,
ვით დიდი ღმერთის ბოლო პირობა!

*1998*

***

შავი ჯავრი გამოვყარე...
მწვანე ნაღვლის წვენი,
წმინდა სულთა დამკუწველი,
მყარზე მყარად მწვენი!
სიყმაწვილის ულიმილო
ბუტკო – ყვავილთ მცვენი,
ვაიყოფის სატანჯველი,
უკურნელი სენი!

*1999*

***

არაფერი არა ყრია ვაიში და ეხში:
გასუსული იმალები ჩაღამებულ ეხში,
იები და... ვარდები და მარტის უნდა კონო,
შორს ანტარესს ეტანება პორნო, შამპო...
კონო...
მგლოვიარე ტროტუარი... გამოწვდილი ხელი...
პაწაწინა შველას ითხოვს, ტყეში მივალ ხელი.
ჯიბე გინდა მოიქექო — ეგებ ერთი ლარი,
სილატაკე მოჩლახუნობს გზაზე, როგორც
მთვრალი!

*1999*

***

განვვლე ბექი და აღმართი,
არც სერებზე ვარ უმძრახად,
კაცი რო უნდა ვაღმერთო,
აბა სად არი, თუ ძმა ხარ!
წყლულზე მალამოს დამდები,
ბაგეთგან თოვლის მფინარი,
თანამგრძნობი და გამგები,
აბა თუ არი — ვინ არი?!

*1999*

***

ცისკარმა ცვარი მაპკურა,
მთვარემ მიმღერა ნანაო,
არსებულ-არარსებულმა
ღმერთმაც კი შამინანაო,
მარტო კაცმა არ დამინდო,
მგლად მოქცეულმა თანაო,
ნანინანატრად ნაგები,
ღვარდელგმას გააატანაო!

*1999*

***

რაისთვის ეგრე დაგვნათი,
ქარვის და ოქროს მძივითო,
მივდი-მოვდივართ, ვიცვლებით...
გვტკივა და... კვერცხში ვწივითო...
ხან იასამნებს ვსურნელობთ,
ხანაც კი ვთბებით წივითო...
ალბათ უფალი გვაწვალებს,
ბოღმის მორევში ვცვივითო!

*1999*

***

რეპტილიებით სავსე აქვს უბე,
ადამის ძისას მიუგავს კვალი,
არარად ულირს კაცური ნდობა,
მარტო ღალატზე უჭირავს თვალი!
თვის გამოგონილ გაწმენდილ გრძნობას,
მუდამ უმაგრებს მდედრული ძვალი.
ფხოჭნის და ხვეტავს, ჰფოფრის საპოვარს,
მაგრამ ღალატზე უჭირავს თვალი!

*1999*

***

უმწიფარ კაკალს ნუ ესვრი,
გაუშვი ტოტზე ებასო,
ერთი პანღური გერჩიოს,
ცამეტ ულირსალ ქებასო!
მშიერ - მწყურვალი ჯობია,
ჯალათის მაძღარ კვებასო...
ხო გზას გინათებს უფალი,
გაწოვებს ათსა მცნებასო!!

*1999*

***

ჯერ მყარსა ზედა დავათრევ კენჩხას,
ცრუ რწმენებისგან მიჟუის კანი,
„შემოდი ქვაბში“ — ბებერ ნეკერჩხალს
ვეტყვი და ისიც... ვითვრებით ძმანი...
„დამიბრიყვესო“ — რას ვერჩი მყრალებს,
გამაცალკევეს — გაცურდა ჯანი.
ჩემს მარტოობას არვის ვამწყრალებ,
ოღონდ ნერგებმა მოყარონ ხანი!“

*1999*

***

მიყუჟული ვარ... ვტკბები რუსოთი.
დადუღდა „მწვანე“ — დუღან ჭაჭანი,
გაღმა მთებს იქით უტევს რუსეთი,
გამოღმა, აქეთ მორბის ჩაჩანი!
ჩანს კაცგაგება ლაფში ეფლობა,
გაუმაძღრობის დროშა ფრიალებს,
როსღა ვისწავლოთ მიმტევებლობა,
ჭკვა როს მოგვეცეს ადამიანებს?

*1999*

***

თბილსურნელი აჭარიდან, შორიდანაც ჰქრის,
თითქოს ქვაბთა ექოებით, ვილაც ცრემლებს
თქვრის...
დამსხვრეული ჩონგურების — მოწკრიალე ლართ
ოქროვერცხლისფრთებიანებს, ატანებენ ქართ...
შორს... იქითაც ფესვებია... შორს, ძალიან შორს...
მე სიცოცხლე უამისოდ, ძმაო, ფრიდონ მშურს...
ჰაი, დედავ, ეგ ტირიან, რო გაბმულად წვიმს...
თბილსურნელი ტაოდან და... შორიდანაც მცემს...

*1999*

***

რა უნდა იყოს, მარქვი,
უფრო ძნელასატანი.
ვიდრე მოყვასის ტანჯვით
რო გეწვის მთელი ტანი!
საშველი ჰპოვო, გინდა,
წამლის მოტანა გწადის,
ბედის ბორბალი ბრუნავს,
უჩინო ნისლი დადის!

*2000*

***

მაწვალე წუთისოფელო,
წამწამთმსწრობელო წამოო,
ნიადაგ ერქვანს ვეკიდე:
„ხიო“ და... „ჰამო-ჰამოო!“
ხნულში ხოტორო ვაპნიე,
ჯეჯილს ვეაჯე: ამოო!
რათა რო, ბალის ყვავილებს
სუნი ჰქონოდა ამოო!

*2000*

***

შენეულა წვრილი წნელით
წნულის ჩემი ქოხი ვართე.
ღამეული ელვის ცელით
დაწვიმული სული ვწვართე!
ბუჩქნართა და მრუმე ღელით,
ძველს ახალი დარდი ვართე,
ჯანღი - მანღი კვლავ რიალებს,
უცვლელია — ეგრე ვართ, ე!

*2000*

***

როს ანათებენ წკვარამ ღამეებს,
ადრე ჩამქრალი ვარსკვლავებია...
მთვარე ამოდის პირშებურული,
ჩემი ბავშვობის ნაკრძალებიდან...
როგორ გაწვალდი, ცისკრის
ვარსკვლავებს
აყარე ვარდი, ცვარნაპკურები,
თვალს მიეფარნენ ლანდნი ციერნი,
დამიწდნენ სიყრმის გაზაფხულები...

*2000*

***

ვვიდოდი ხელის ცეცებით,
ეკალ-ბარდებზე მითოვდა...
ხელმარჯვედ ვცემდი ორლესულს,
ლომ-ვეფხვებს ვხოცდი... ვითომდა!
გადავასწორე მთაბარი...
ღელე გაცოფდა თითონ და...
ნაბრძოლმა ვბერტყე კურტაკი,
და გავიმარჯვე... ვითომ და...!

*2001*

***

ამას წვეთი არ გაუვა,
მჩაგრე! დამიჭერს მხარ ოსა!
განა ეგ არი, მაცილმა
წნორის ტოტივით მხაროსა...
ნამცეცა მწერიც ეძიებს,
უმცირეს გასამხაროსა!
ყველას ეყოფა საუფლო,
თვის წილი ცრემლი ღვაროსა!

*2001*

***

ცა ქუფრი და ჟანგოვანი
ვერ კალამმა ვერა ჰკალა,
სად ბალნარი გავახარე,
მობიბინდა ნარეკალა!
ვინც სითბოსი ხიდი გასდო
ძმათა შორის გზანი ჰკვალა,
წინ გადუდგა, მაგრე ნუო,
ცრუ კაცუნა და წუნკალა!

*2002*

***

წამოწვიმა... (სიყმაწვილის
გადაჭეჭყილს აწვიმს ღობეს),
იმის იქით, კაკლის ჩრდილში,
შლილნი ვარდნი წუწაობენ...
გამორბიან საქათმისკენ,
წვრილწიწილნი კრუხს უხმობენ.
წამოუშენს მერე თქეში,
ბებიები ქოთქოთობენ!

*2002*

***

ვით იმღერებდი, განახავდი,
ყელამოწმენდილ ჰანგითო!
დღედაღამ გრილოდ დაგდევდეს
ხან ბეგია და ხან გიტო!
გიფლეთდეს სულსა და გულსა
დაელვებული ჭანგითო,
განერთხმებოდი, პირბოზო,
სამარადჟამო ბანგითო!

*2002*

***

გადავუფრინე კარკაზი,
ოქროს კვერცხების მდებელი,
ვუყივლე: ღმერთმა გიბოძა,
არ ვარ მე ხელის მხლებელი!
გაიბადრა და გადიდდა,
სულთანთა ქვეშამგებელი,
გამოხდა ხანი, ვერ გაძღა,
ჩემს სისხლში ენის მწებელი!

*2002*

***

აყვავებულთან მიველი
ცაცხვთან — მზის შუქი მეფინა,
რად აღარ გადმამხედეო,
ხმა არ ამამაღებინა!
დავუჩოქე და ვილოცე,
სრა ფიქრთა ამაგებინა,
„ცისკარს ორივე შევხვდებით!“ —
შრიალში გამაგებინა.

*2003*

***

ის დამშრიალებს... მეცა ვჩურჩულებ...
მთვარეც აქვეა... ეს რა მეღირსა,
უხვად განძეულს ვხვეტავ დაცვენილს,
ჩემი კუთვნილი ვარსკვლავებისგან!
რა სიჩუმეა... უავკაცთვალო,
ვლოცავ გარემოს, ქვედამხობილი,
ხო ვისაუბრეთ, ბებერო თელავ...
უბერავს სიო, ესოდენ თბილი...

*2003*

***

სულიერების ალამი ავსულმა სულმა თელა,
გადარჩენილი შემჩივლებს ტოტებშეჭრილი
თელა,
„გამიჩანაგეს ირგვლივეთს რცხილა, ცაცხვი და
მუხა,
დაცივდებიან ბალღები, ნიადაგ ეგრე სწუხან...
მიაქვთ ათი წლის მარაგი, ბუნაგში ყრიან ავნი.
სად დაწურთნიან უტყეოდ, სულაც ამაოდ
მჩხავნი.
წყარო რო არი, ჯერ კიდევ, აყრიან ხრეშს და
სილას,
არად აგდებენ ბუნების, განგების სასტიკ სილას“!

*2004*

***

იადონების გაძღა მუჟუჟით,
თვალნათელია თუ რას აპირებს,
მოლაღურები უნდა გაჟუჟოს,
ძვლები უყაროს ქარიყლაპიებს,
ზეშემართული, გადამჯეგავი,
ჩამოუქროლებს ტყეთა ნაპირებს,
რა რო ნადავლი გაუნაწილოს,
ისევ იმ უძღებ ქარიყლაპიებს!

*2004*

***

სალამი, ჩემო გაზაფხულებო,
ჩემო ბუებო და ბულბულებო,
გაღვიძებულო ხომარდულებო,
ჩიტბატონებო და გუგულებო!
შეპარებულო, მწვანით, ველებო,
მანჭკვალებო და ფურისულებო,
თრიმლოვანებო, ალმოდებულო,
კურდღლებო, ჯაგთან განაბულებო!

*2004*

***

რა გინდოდა, დამტვერილი
თარი თაროს დებულიყო,
ბედისა თუ უბედობის
ცას ცთომილი ნთებულიყო!
ტაძრისაკენ მიმავალ გზას
ლაკბის ქვიშა გებულიყო,
რა შეცვალე, სახვალიო,
ლეში ლეშად გდებულიყო!

*2004*

***

ასხიპე წნელი — საშვილი,
შვილო, გოდორი წან,
ძვალმანი დამიწებული
იის ცრემლებად ცან!
არა იპარო, იმათი
ნაქონი გუთნით ხან,
უმატე სკათა გოლეულს —
ველად გაიჭერ ან!

*2004*

***

აგონდები ვისმე განა?
ზიხარ ბუად, მარტოკანა...
გაგიოხრდა ტყე და ყანა,
მტერმა გაისიგრძეგანა!
ჯერ გაძინა, ითქვა ნანა,
მოგაყოლა წიხლი თანა,
დაგისია დევთლაშქარი,
თავის ქოფაკებიანად!

*2005*

***

მე ჩემს ალაგზე ვტიროდი,
სულიც სამშობლოს ცას ჰგავდა,
იჟინჟღლებოდა სერებზე,
ყველა თავთავის სახლს ჰგავდა!
ვახტანგისეულს მართმევენ,
ვიღაცას წელი აჰქავდა,
საჭეთმპყრობელმა ქვეყანა
კვლავ მართოს — ვითარც მართავდა!

*2005*

***

სიყმაწვილეს მთვარე სძოვე...
გაწევს მიწა ძაან მძიმე...
მრწემნი მოვლენ მწვანეებად,
ცისიებად მოციმციმე...
თუ მნათობი სულთსაამო
აათრთოლებს ქნარის სიმებს —
ღვინის სასმისს წააქცევენ,
მოგაბნევენ ვარდ-ყვავილებს!

*2005*

***

მჭადპურა ამად ჰქადე,
გოდება ლექსად ჰქადე,
ჟანგარა ხრმალი დადე,
სხვა ნურასახარ მწადე!
რაღას უყურებ, ადე,
ხიდი მაღრიბით გადე,
შავყოფის ტბაში ბადე
ისროლე, კიდე სცადე!

*2005*

***

მრწემ-უმრწმენეს გერგო კოხი,
შეინისლა მწვანე ქოხი,
მერე ბარი, იქვე, თოხი,
აქეთ ჯვალო, იქით ნოხი...
გიბუხუნებს სვებედ ბოხი,
„დონდლოა და მუხლბოშ ლოხი“!“
მყარად გდია მდაბლად მხოხი,
მზენატრული ალაჩოხი!

*2005*

***

საამოა, დაბურული,
ტყის სილრმეში სუნთქვა,
საწუხარი შვინდებთან და
ბერწიფლებთან უნ თქვა!
იარას ვერ გაინელებთ,
გულებს — ცეცხლზე თუთქვით,
კნინი შვება მოგეწევათ,
ჯავრი კაცთან თუ თქვით!

*2005*

***

შედევრებს ქმნის და ნავლავს,
მანამ ფიჩხივით კუწავს,
შორს იჭერს სხვათა სნავლას:
„ვერ დაეწევა კუ წავს!“
არაო, ეგრე მინდა,
ტუჩებს ამაოდ პრუწავს,
არ იცის, უზარმაზარ
განძეულს მამულს უწვავს!

*2006*

***

ჩემდა წინაც, ძაან წინათ,
ცუდუბრალოდ, ბევრმა კროცა,
გააოცა მიდამო და
უსასრულო სამყაროცა!
მეც მამივლის ხოლმე სიო,
მუზა მაძლევს საბაბ როცა,
„სმენად მხეცნი მოვიდიან,“
სავეფხო და საბაბროცა!

*2006*

***

გინდა გითხრა, ტიტიკო,
საქართველო რით იყო?!
წმინდა მდინარეებით,
დაბურული ტყით იყო!
სახედრებით, ცხენებით,
ხარებით და თხით იყო,
გაუტეხელ პირობით,
დიდთან დიდძმობით იყო!

*2006*

***

გაამზეურო თირკმლები, მაგრე არ არი!
სხვას მიაბარო სახე კუშტი, მაგრე არ არი.
გაატიალო ჯირკ-მელები — მაგრე არ არი,
თოკზე გაფინო შარდის ბუშტი — მაგრე არ არი!
სუ ჩახჩახებდეს სამოვარი, მაგრე არ არი!
დაწიხლო იგრეც წაქცეული, მაგრე არ არი!
გაუნაპირდე — სუ მე ვარო — მაგრე არ არი!
ეშმას წაჰგვარო შენი სული — მაგრე არ არი!

*2006*

***

ისევ ჩალურები, ისევ მთვარეები,
ისევ საბძლები და ჩრდილები ღობეთა.
ფშვინვა უამესი გატრუნულ ღამეების,
სხვა იყო ამოკვნესა — მაშინდელ სოფელთა.
სულ ცოტა სამკალი, ამბარში კოდიღა,
პატარა წისქვილი ლაკბეში ღრანცალებს...
ფერდაზე აყრილი მუხა და კოპიტი,
დღეო, დაღვრემილო, ვიტირო, მაცალე!

*2006*

***

ან შენ ჩხავილზე ვინ იყო,
ან შენ კნავილზე ვინ არი! –
ვის აგონდები, ყაყიტავ,
თაყა თუ შენზე წინარი!
თავისთვის მიდი-მოდიან
სხივები ხილულ-მჩინარი,
თითს გიქნევს, დამუქრებული,
ხელმწიფე, გაუცინარი!

*2006*

***

მთამ თუ იცის, მთა რო არი,
ანდა ბუმ რო — ბუ რო არი,
ან თარომ რო თარო არი,
ან სურომ რო — სურო არი!
ქედს აქეთ რო დინგი არი,
ლადოა თუ ჩინგი არი?!
დილით იქნებ ოქრო იყო,
საღამოზე — ცინკი არი!

*2006*

***

დაიძაგრნენ ლარისათვის,
შენ მიამბე, მა რისათვის,
გაჯგიმული, ნაბიჯ-ნაბიჯ,
რჯი სამეფო კარისათვის!
სისხლის უნდა ნაკადული,
გლეჯვას ეკალ-ნარისათვის
და სიცოცხლე, სანუკვარი,
ციდან რეკვას ზარისათვის!

*2006*

***

ჯუღაშვილი... მერე კობა,
იქ ლენინი... ძველის მხობა,
დიდთა ხმელთა წითლად მკობა,
დრომოჭმულის დროზე გმობა!
ელექტრონი, გზათა გზობა,
სათნოება, ძმათა ძმობა,
შორით გმირთა აქა ხმობა,
დღეს სატირლად მწვანის ხმობა!

*2006*

***

ჩათავდა, აჰა, ეს ერთი წელი,
არ ჩამიამდა მტკივანი წელი,
ლოდების თრევას არ უჩანს ბოლო,
გზაწვრილებს ბინდავ, ბურო და ბოლო!
შენც სული უნდა წეწო და ჩითო,
და წინ გამიგდო „აჩი“, „აჩითო“!
შემხსენ, ახალო, შებორკილს, თოკი,
ჩემი წამებით შენ გაერთო კი!

*2006*

***

და ასე შემდეგ... და ასე შემდეგ...
ნუ გეშინია, თამამად შემდექ!
განგადიდებენ მავანნი ზეით,
მტერს განაგდებენ ხანჯლების ქნევით...
წინ დაგიგდებენ გათოკილ ეშმას,
ამიერიდან ყველაყას ესმას:
ცა ბადებს თავადს, მძლესა და გლახას,
ჩამოჯე კუნძზე, რას ეტყვი ახალს?!

*2007*

***

მოუთოკავი ბუყბუყებს ბოლმა,
ზურგი გაქცია ნაძვისფერ ქოხმა,
(ბოროტი გენით მრუდე კუდს კლაკნის),
გაამზეუროს ცთუნება აკვნის.
თავად „სალია“, „უნაკლო“, გვამი,
წურნურით გასდის ხილული შხამი,
დაუბორკავი თამთამებს დარდი,
სევდით დადიხარ, წამისად მზარდი!

*2007*

***

შენი ვალია, ღვთისავარ,
ანდუყაფარი შამოსო,
ანდა მყეფარი, მისივე,
ცოტა მაღალზე შამოსო,
რო „მტერი“ მალე დალანდოს,
დაგლიჯოს, მერე ჭამოსო,
ცა რას უბრძანებს ცისკარსა? —
ია და ვარდი ნამოსო!

*2007*

***

დასწყევლა ავი ბატონი,
გულს დაატარებს ქვისასა,
ნაბილწულ თათებს იწმენდავს,
ჩოხაზე თავის ყმისასა!
არ გახსნის დამცრობილთათვის
კარგა პირმოკრულ ქისასა,
თავს ეხვევიან მლიქვნელნი,
იმათ ქცევანი მტრისასა!

*2007*

***

ისევ რამდენი ორპირი,
ძმამ ძმის არ იცის, დამ — დისა,
ყარტლი და ვაი-ვაგლახი
მაღლობებიდან დამდისა!
ბალღმა ტყუილად არა თქვა,
იმად ვტირი, რო გამდისა!
ღმერთო, ნუ დასჯი საცოდავს,
თუ მართალია ცამდისა!

*2007*

***

ქურმუხის ქედებს შეჰყრია ჭლექი,
ოქროს და სპილენძს მოათრევს ქარი,
მთის ვიწროებით მოცოცავს ლეკი,
დიდი და დიდი — თავისთვის არი!
„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა!"
ნახვამდის ნუხო, მშვიდობით კაკო...
ლაგამმიშვებით მიფრინავს ზაქრო,
ბღაჭიაშვილო, გამაგრდი, კაკო!

*2007*

***

აბა, დაჯე და მიამბე,
რა არგე შენსა მშობელსა?
ან რა არგუნე მაგივრად
ენებს, შხამებში მწობელსა?
ვინაც მამული დაიხსნა,
რა უთხარ იმის მგმობელსა?
არა და — მარტო აგინებ
პირში ჩვარ-ბურთის მცობელსა!

*2007*

***

ერთნი, მართლებიც არიან,
„კაი ბაგაზე ვებითო!
ჩაცმა - დახურვა არ გვაკლდა,
არა გვიშავდა კვებითო,
განვადიდებდით სამკვიდროს,
ცაში აწვდილი ხმებითო!
ჩვენივე ხელით ვანგრიეთ,
არ გვითხრეს: „რასა შვრებითო!"

*2007*

***

ბინდბუნდზე ბუხარს მუუჯდა,
კაჭანა ბატისფრთიანი,
გამთენიისას დახურა
გენია „კაჭკაჭიანი".
სტრიქონიც კი არ ერია,
უთვალავთ შორის ჭიანი,
რომელ გიჟს არა ჰგონია
თავი ჭკვიანზე ჭკვიანი!

*2007*

***

გაგიტოლდე, ძიავ, რაში,
მილიონებს ვერ ძრავს რაში,
ღმერთმა კარქა მოგახმაროს,
სიმართლეა ჩემს ლოცვაში.
მე ჩემი გზით მივსრიალებ
ჰეიერდალს ვუზი „რაში“,
მოთმინებით ვახრამუნებ,
რაც მიყრია მჭლე თოფრაში!

*2007*

## შორეული ლანდები

გეზელქორივით დამყურებ
ყარიბს და არამქონესა,
შენგანვე გვემულს დამცინი,
მიწიხლავ „დაბალ დონესა!“
რაზე დამინდობ! ჩამაგდებ,
ჭორისიმყრალის თონესა!
მიმაბამ ცხენის ძუაზე,
შეაქებ იმის ღონესა!

*2007*

***

განქარდა ნისლი, ვსუნთქავდი სადაც,
გამკრა ელვამ და... ჩამაგდო კლდეში,
თვალმა ცარგვალის კვლავ ხილვა სცადა,
და ყვავ-ყორნებმა იგულვეს ლეში!
ჩხავილ-ჩხავილი... ყრანტალი მტრის კარს!
შეცილებით და უტყუარ გეშით...
„დაიწმინდავებს! წაბილწულ ნისკარტს,
უწმინდურ გუბეს ამოლევს პეშვით!

*2007*

***

იყო ბეგია, იყო კოლა, იყო ყულია,
იმათ სადგომზე შამბია და მოყაპყულია...
გააქვთ ჟივჟივი მრწემთა ზედა — ღმერთო,
დაზარდე!
ბალახთ ამოსვლას, მზეო, ჩაქრი, თუკი
დაზარდე!
შესციცინებენ ალიონებს, ცისკრის ციმციმსა,
ო, წინაგრძნობა დაბინდული... სერებს
მიწვიმსა...
იყო დათია... საწყალნიკა, იყო კაპია,
მათ საფლავებზე შამბია და ბარდსაკაფია.

*2007*

***

ვისყენაა.. მარტო მეო!
გამამტყვრალი ყვირის გეო!
მიწა-წყალი, ცა და ტყეო,
მარტომ გავიიმასქნეო!
გაკაფულო ჯაგნარ-ხეო,
შენგნით ლარი მოვიმკეო...
ვილაც რაღას მეშარება,
დამსისინებს „ეო! ე-ო!“

*2007*

***

იყო თოვლი და... იყო კოლა „პამბრი-ბაბოთი“
სენაკი სავსე სითბოთი და... პაპა-ბაბოთი!
მრწემნი და დედა დათრგუნვილი და
მობუზული...
ომის ხმები და მთებს იქითა ტყვიის ზუზუნი...
განჯინის თაგვი, მოწრუწუნე და მოქეიფე,
ილებს ჯამების ციხეებს და ქონის სეიფებს,
დუმილია და საბძელია... შიგ ბელურები!
ქათქათებს ეზო, საქათმე და... ძველღობურები!

*2008*

***

და ვისაც შენზე გული სტკიოდა,
მოგდევდა უკან და გიკიოდა:
„შვილო, ერიდე ემაგ მორიელს!“
გარიგებდა და ცრემლი სდიოდა!
„დაუნდობელთან, მტერთან დადიხარ,
არ უფიქრდები, რასა სჩადიხარ,
ბოლოს მიხვდები, იქნება გვიან,
რო ორპირია და მტერი ჰქვიან!“

*2008*

***

რაღაცით უნდა ხარობდე,
უნდა რაიმე გწამდეს,
კევრზე იჯდე და ლეწავდე,
მართალი იყო ცამდე!
მსტოვარს, ყარიბის დამჩაგვრელს
შეახსენებდე გამდელს,
ცოტას ხომ მაინც მოაკლებ,
სიავის ამდენ ჩამდენს!

*2008*

***

ბუჩო ახვეტე, მომაყარე ბზე და პატივი,
ჩადექ, გრიგალო, საკუთარ თავს ეცი პატივი.
მილეწ-მოლეწე ჩალურები, წვება გომური.
გაგაქვს გრიალი, ბუქი ადის, ზეცა გამურე!
შეფიქრიანდა ტყის ნადირი, ძვრება ბუნაგში,
მთვარე გამტაცე, ჩამოდგება ღამე უნაქსო...
მიდის ყოველი, ეშურება თავის ბუდეში,
შენც დაისვენე, წამებულს სულს ეცი ნუგეში.

*2008*

***

დაჭკნენ ვარდნი გადაღმა
(სიყმაწვილის მთვარენი)
მწვანიანი გადახმა,
თვლემენ მგლოვიარენი!
ამთქნარებენ ბებრულად,
მუხლმოყრილი არენი,
და ღრუბლები ბუიან,
ქრიან დღენი მწარენი!

*2008*

***

რა კლდე-ღრეში ჩაიქეცი,
ღობე-ყორეს ედები,
გადალახე სხვათაც ჯერ
ულახავი ქედები!
სხვა სამჭმოებს მიაგნეს,
ე, ძმები და ე, დები!
ხმება სულიერების
მუქმომწვანო ხედები!

*2008*

***

„სამთა ხარჩო“, „ჭაჭა“, ლუდი,
დიდლარიქსთა წიწვი ნემსობს...
გადაიფრენს ყვავთა გუნდი —
ამ საღამოს იწვიმებსო...
მერე ზვართა თვალმოვლება,
(შარებქვევით იქვე დევსო).
წუთისოფლის ავმონაგარს —
ვუბანგუნეთ თავში დევსო!

*2008*

***

კიდე შორსა ხარ, აპრილო,
(დარდობს საყდარი უბერო)
თებერვალს უნდა აბრალო,
იანვარში კი უბერო!
ჯანღმა დაბურა ფევრები,
(ეშმაკთა რუმბნი დაბერეს)
განწირულ კაცთა ნაცრემლი
სისხლის წვიმებით დაფერეს!

*1998*

***

ტყიპირპირ მივალ ლაკბისკენ,
გზაწვრილის ნელ-ნელ მზომელა,
მოჩანს სამრეკლო საყუდრის,
პირჯვარს ვიწერავ დგომელა.
წამამიფრინდა ხოხობი,
მრუმე ბარდებში მძრომელა,
აცრემლებულნი მხვდებიან
ჩემი ღრუბლები, წყრომელა!

*2003*

***

თუ ეს წესი წესად არი,
მეც გავქრები, ალბათ, რავი...
მოლპება და მოირყევა
წუთისოფლის საგოგავი...
მზეს ლაპლაპი დეელევა,
ჩამაივლის შილაფლავი...
საბოლოო, სულ იგია,
მოყვითალო, ყოვლთა მხრავი!

*1987*

***

ტიროდი განაპირებით,
სისხლის ცრემლებსა თქვრიდი.
იქავე ჩასაფრებული,
მსტოვარი იჯდა — ფლიდი!
ეშმაკის გამონაწველსა
თბილ გულზე არა ცვლიდი,
დამძიმებული დადიხარ —
იესოს ტვირთით — დიდი!

*2001*

***

აბა, სულო, რისა თქვი,
სულთსაამო მცვრისა თქვი,
ფინთაჭრილი რძისა თქვი,
ტყე-ღრეს გაჭრილისა თქვი.
ტანჯვა-წამებისა თქვი,
დაჩაგრულ მოყმისა თქვი,
ულრანებში შეყუჟულ
შიშნაჭამკაცისა თქვი!

*2002*

***

ღამეა... ვითომ ძილი მაქ...
ცოტა მინათებს... (ცვილი მაქ...)
ძველძვლებს ძეძვებზე ვაძეძებ,
თითქო მეც რამე წილი მაქ...
მწარ-მჩივარ ცვარში ნანაობს –
ქატოა, განა ფქვილი მაქ...
მყარისკენ თავი იხრება,
აჰა და... გულიც გრილი მაქ!

*2002*

***

ისევ ჩემი საწერელი შხამში უნდა ეწოს,
ისევ გული მოსისინე გველმა უნდა წეწოს,
ისევ უნდა გალაქოს და... შეთითხნოს და
ჩხრიკოს,
ღვარძლი უნდა მოგაყაროს, რომ მდაბალმა
გბრიყოს!
დაგიფლითოს ყოველივე, გაწვალოს და
გჯენჯოს,
წაგიგდოს და სული სრისოს, როგორც ღორმა
ლენჯო...
ისევ ჩემი საწერელი შხამში უნდა ეწოს...
ისევ გული, მოსისინე გველმა უნდა წეწოს.

*2001*

***

საფიქრალ-საწამებელი,
წამსაამონიც კიდეა.
ცისკრისას კვლავ ნამს ვიპკურებ,
წლები ფეხებზე მკიდია!
ჰაერს ყნოსავდე უწმინდესს,
ხნავდე, თესდე და მკიდეა,
ოფლს იწმენდავდე მაშვრალის,
იარე, ღმერთი დიდია!

*2002*

***

მგელი მაინც მაგარია,
დახევს, დაფხრეწს კრავს,
თუმც ეს სუსტი, უსუსური
ვერ აუმღვრევს წყალს!
აბა, რა ქნას ამ საწყალმა
შველას შესთხოვს ღმერთს —
მგელი დაუნდობელია,
გლეჯავს, სანსლავს, ფლეთს!

*1978*

***

აბა, ტყე რაა დათვის გარეშე,
ეგრევე დათვი პანტის გარეშე,
დედა პლანეტა ვარდის გარეშე,
მგოსანი ნათელ დარდის გარეშე!
განძი ჩირია კაცის გარეშე,
ბაღი — ვერცხლისფერ ნაძვის გარეშე,
სამშობლო ჭკვიან აზრის გარეშე,
შაირი ნექტარ-შხამის გარეშე!

*1978*

***

გახმნენ მინდვრები, გახმნენ ტყეები,
გადაპენტილნი, დაჭკნენ ხეები,
უკურნებელი ჭრილობა დარჩა,
წუთისოფელი – მოვაჭრე ჩარჩი!
მიწვავს ნაღველას ეგ მჭმუნვარება,
ცრემლებს უწმინდესს — ვუმატებ ჩემსას,
სულის გადარჩეს გავერანებას
ადამიანურ — კაცური ხემსი...

*1975*

***

ფარნი და ხრმალ-მუზარადნი
მომხვდურთ სამუსრად დაჰქონდათ,
რათა რო სხვა საფიქრალი
და სხვა მამული არ ჰქონდათ!
ხმანი, წინაპართ ნაკივლი
სამძღვარს იქითაც გაჰქონდათ,
მთა-ველს უცთომლად იცავდნენ,
და ძვალნი მიწას ჩაჰქონდათ!

*1987*

***

ანი და ბანი, ჭარი და ჰოე,
შავნისლის მეტი ვერარა ჰპოვე,
ამად ენუკვი უცნობს და ნაცნობს
„აწ რაღასა იქმ, პატარა კაცო?!“
შეჰყეფე ცისკარს, მარამა როდის,
კაციჭამია და ნადირთ ხროთი,
გადაგჯეგავენ, ვარდო და ქაცვო —
„აწ რაღასა იქმ, პატარა კაცო?“

*1978*

***

მე ამ წუთებში, გაბმულ ქუხილის,
მოგონებაც კი მზარავს ძალიან,
როცა გარემოც, ძიძიასავით
ბედმომდურავი პატარძალია...

*1960*

## ფოთლები

მჭკნარფოთლები ნება-ნება
დაბლა ისე ბარდებიან
ვალმოხდილთან, გეგონება,
მისროლილი ვარდებია...
გაცრეცილი, ფერწასული,
დაღვრემილი ბარდებია,
ხინისფერი წიწკოტები
თავის პატრონს ბარდებიან!

*1956*

***

თებერვალი დადგაო,
ქარი... ქარი ადგაო...
ერთხელ დაყვედრებული,
ლუკმა ყელზე მადგაო!
მაი დარდი ვაქარვოთ,
ემაგ დოქში რა დგაო...
კიდევ ერთი ნაბიჯი
წინ საწუთრომ წადგაო!

*2001*

***

ვაი შენ ყოფას, ნაწამო,
შენს არსებობას, კაცო,
ვინ სად დაწერა, კალამი
ბედის ტბაშხამში აწო!
(თავისთავ დააბრალეო,
ცხვირპირ დაიმტვრევ რაცო?)
აღარა მჯერა არარის
საით ციერო, აწო!

*1989*

***

რამეთუ ფერნი ხასხასებენ
ფიჭვთა და ნაძვთა,
რამეთუ გული მზის ამოსვლის
ლოდინით გაცვდა,
რადგანაც გრძნობა ოქროცურვილ
ნისლებში მოხვდა
მგოსანი უნდა ცოცხალი
მოკვდეს!

*1989*

***

ვართო, მკითხე, რისანი?
ჰოობა ვართ მცვრისანი,
მემრე მთვარის, ცისანი,
უწინარეს მზისანი.
ჩუმხმა სამყაროულის
ხმათა ჩაკმენდისანი...
ვრჩებით, ვამბობ მეასედ,
სულნი ამ კითხვისანი!

*1989*

***

განვლეთ რახან დროჟამი,
სამშვიდობოს გაველით?
თქვენ ვით ბრძანებ? — მოვწამლოთ
ჩვენი ზღვა და მთაველი?
შაშვთ ჭახჭახს ვერ დავუტკბეთ,
(არც ტოროლათ წკრიალნი?)
მა რათ გვინდა გაბმულად,
ლაინერთა გრიალნი?!

*1987*



## სარჩევი


ელეგია... .....5
ცვარი.....5
ცირცელი... .....6
ციერი... .....7
ტკივილი... .....7
**...(აგერ ბავშვობა...) .....8
ბალახი... .....8
დილა... .....9
***...(ავად მიიღებს ალბათ ლაყაფი,...).....9
ვარდები.....10
მთვარე.....10
დუმილი... .....11
ბორცვები.....11
სული... .....12
იკაროსი.....13
ოცნება... .....13
...საწვიმარი ღრუბლები.....14
მთვრალი მუხები.....15
***...(პაპამ „ზაოდზე“ ჭაჭა ჩახარშა,...) .....15
***...(გახსოვს გავლილი, ბავშვური გზნებით,...).....16
ხეხერა... .....16
***...(ღრუბელმა ქარივით იცურა,...).....17
***...(გზაზე ვიღაცა მიაფრატუნებს,...).....17
***...(ნუ გადამახევ თავზე ამ ნაწერს,...) .....18
***...(ღმუის ქარი, თითქოს მგელი,...).....18
***...(თუ მათქმევინებ სიმართლეს,...).....19
***...(შავი ფრინველი მოფრინდა ბინდის,...).....19
***...(ფანდურს აუღერებს ქარი ტოტებზე,...) .....20
***...(სხვამ გააბას მწარე კვნესა,...).....20
***...(ძირს წინაპრების ჩაყრილი ძვლები,...).....21

***...(ძვალკუნთოვანი სტრიქონი გიხმობს,...) .....21
***...(ღრმად ჩამარხული გულში კაეშნად,...).....22
***...(მიდგანან კრიჭაში,...) .....22
***...(ჩაწოლილია ჯანღი,...).....23
***...(ხარბად ვსუნთქავ მუხათ შრიალს,...).....23
***...(გაფრინდნენ წლები ფრთათა შმაშურით,...).....24
***...(მთვარე არ ცურავს, ქარია ჩუმად,...) .....24
გზა.....25
***...(შენ და... ბროლის მძივები?...) .....25
***...(ვაი ქვას, ცივ ქვას, უოცნებო ქვას,...) .....26
***...(შემგლიფერდა, მზე ფიცულობს,...).....26
***...(თეთრონებით, მთამთა, კლდე-კლდე,...).....27
***...(მაგდებს ბურანში მწუხრის სურნელი,...).....27
***...(მკათათვე, ცხელი ზაფხული,...).....28
***...(კიდევ გიგონებ, კიდევ მჭირდები,...).....28
***...(ნათელ ღამეში მონაქროლ სიოს,...).....29
***...(იხრასტებიან დევები ხევში,...) .....29
***...(არწივიან მთებს ცვილივით ანთებს,...) .....30
***...(მართვეთა ფრთებით, ფიქრები მქრქალი...).....30
***...(წინ მივაქროლებ ჩონჩხადქცეულ რაშს,...).....31
***...(ნათელო სულო, ვინაა მანდა,....).....31
***...(კვლავ გაგრძელდება ნაკაწრ სულის...) .....32
***...(ჩუმადა ვარ, მზეს მოველი,...).....33
***...(სულ სხვა ფიქრები გარგუნეს, სულ სხვა,...).....33
***...(აივნიდან დიდბატონი...) .....34
***...(რა ყოფით ქრიან დღეები, ქრიან,...) .....36
***...(გამშვენიერება შავის მთვარეშია,...) .....36
***...(ვის უნდა ომი, ცისიერო,...).....37
***...(რას მოველოდი, რა მინდოდა,...).....38
***...(მალე ზამთარი დადგება, ვიცი,...).....38
***...(ბებრუხანები ხვრეპავენ ბურნუთს,...).....39
***...(ცაცა და... შევცქერი ცივს ლურჯ ცას,...).....39

***...(...შენც გეყოფა ჩამოღვრილი შუქი...).....40
***...(წვიმა და სეტყვა ეძალვოს,...).....40
***...(შუადღეა, ცხელა, ცხელა,...).....41
***...(ჩუმად! შაშვიან წარაფს მშვიდობას...).....41
***...(არც იქნება, არც ციოდეს...) .....42
***...(ღმერთო, რა მოხდა, აღარც ვარდს ვითხოვ,...) ..43
***...(...სულო, რა ტკბილად და...) .....43
***...(დასალიერზე სანთელი ბჭუტავს,...).....44
***...(პოეზიითვინ რა ვქენი?...) .....44
***...(სიტყვათა ჩვენო, მწვანე ჯეჯილო...) .....46
***...(სული აივსო საამო დარდით,...).....46
***...(მუხა, ტყვეობიდან დახსნის,...) .....47
***...(მე მგონი ხშირი წვიმები კმარა...) .....47
***...(და მე ისევ ბედზე ვტირი,...).....48
***...(შენ ისევ მისმენ, ციერო, სულო,...) .....48
***...(ახლა, როდესაც მოზიდეს თივა,...) .....49
***...(დარდიც გაწყალდა,...).....49
***...(ეს დღეც მოთავდა უშფოთველი და...) .....50

***...(რა გიფიქრია... (ბოლო წიგნიდან),...).....51
***...(როს დაზამთრდება, მოვა ნისლები,...).....51
***...(მე მივაცურებ ყინულის სათარს,...).....52
***...(წვიმაა და ცივა მეტად,...).....53
***...(გაჟივდა ხნული, მოლი და ყანა,...).....54
***...(მხარი ჩამაჭრა შავნაღვლის აბგამ,...) .....54
***...(სულში მცურავი ხო არ შეხიზნე,...) .....55
***...(დღეო, რა დარდი მამარგინე,...) .....55
***...(მზე მიმქრალია, ველოდები მზეს,...) .....56
***...(ვინ დამიჩრდილა მზე — გიშრის ხალი,...).....56
***...(ვარსკვლავთცვენაა და ვარდთა თქეში,...) .....57
***...(რაო, ციერმა, ცირცელო,...).....57
***...(მშვიდობით, მზეო, მშვიდობით მზეო,...) .....58

***...(...ჰო დავიღალე, სიმღერა ისმის,...) .....58
***...(უუვრცესია, უკიდეო,...).....59
***...(ვის გააოცებს „უძილო ღამე“...).....59
***...(ამ ძველ წყاროსთან გაუმარჯოს...) .....60
***...(რეცენზია მეგობრის ნახატზე „მუხა“ .....62
***...(ჯუნგლებში, ტყეთა უსიერ ტევრში,...) .....63
***...(ვუთვალთვალებ ზოდიაქოს,...).....64
***...(ქარაშარო, ძმა ხარ ჯერ,...).....64
***...(და... და... ვდექ... ფეხი ვითრიე,...).....65
***...(რა სალ კლდეებს შეები,...).....65
***...(რო მოწანწკარებს ცრემლია,...) .....66
***...(გამამაგლიჯა კანჩალა,...).....66
სეხნიები.....67
***...(რაღა! ყრუი მთვარეღა!...) .....67
***...(არსით სუნი ცხიმის,...).....68
***...(ოღონდ ის იმას შაასწრო,...) .....68
***...(აწოვებენ ქარნი ყვავებს,...).....69
***...(ვლახე მთანი და ტყე-ველი,...).....69
***...(რამან განმსჭვალოს გონება,...) .....70
***...(მე თუ არა, ძირძველო,...).....70
***...(სუ რა მოლევს კარდუსთა...) .....71
***...(არცრა ართვინი, არცრა ოლთისი,...) .....71
***...(მძლე, უძლეველი თავდათავი,...) .....72
იძნება კილოს მიწუნებ.....72
***...(ახალმთვარე ცას ჰფენს დარად,...).....73
***...(ცამდე ვიცი, რის ვარ მქონი,...) .....73
***...(ყოვლად წუნკალი ზის მოისარი,...).....74
***...(მოვლე ზღვანი და ხმელნი,...).....74
***...(ვუყურადებ და ვუტკბები...).....75
***...(მივყვები დაჯაგულ სერს...).....75

***...(შობილთა მშობელთ:...) .....76
***...(წევს გარინდული...) .....76
***...(სარკმელთან მთვარე, ალბათ ხუთისა, .....77
***...(რა დარდი თიბე, რა სევდა ცელე,...).....77
***...(ვართ და ვბოგინობთ კვლავ და კვლავ მათით,...)...78
***...(ო, ღმერთო ჩემო, სად სუფევდა მანი მანამდე,...)...78
***...(რამეთუ ნისლებს – გაუვალ ჭალებს,...).....79
***...(ციურად სჯიან ვართ თუ აქ ვინ ვით,...).....79
***...(ე, ხო, მამული მიიგდე, ვანო,...).....80
***...(ლოდი არყოფნის დასველდა თრთვილით,...) .....80
***...(მოჰფენს შუქს მთოვრის...).....81
***...(წვიმს დაჟინებით, ძველისძველ გზებით,...) .....81
***...(ათოვს და აწვიმს ცა მგლოვარი...) .....82
***...(დამხრჩვალ ცრემლებმა უპენი მიწვა,...) .....82
***...(თითონ გოდებაც იმუმლება...).....83
***...(წახველ, შენივთდი წიაღსა ცის,...).....83
***...(უმეტესწილად თავი გიყვარს,...).....84
***...(ბრწყინავს ბაჯაღლო – კეთილის...) .....84
***...(შენთან რა ფონი ჰქონია...) .....85
***...(წამების წამება რაც არი, ვით არი,...) .....85
***...(არა! სულო, თუ გაბეზრე,...).....86
***...(ვერც მარანი ავაშენე,...) .....86
***...(ვარდი შენ და ქაცვი მე,...).....87
***...(ძაღლი სად, როდის გისრიალებს,...).....87
***...(ვტირით ო, ერთ ცით, და არა ორ ცით,) .....88
***...(წვიმს, მოვა შამბი ...) .....88
***...(ძალმოსილი ელავს ხიშტი,...).....89
***...(არც მირიანს, არც ფარნავაზს,...).....89
***...(რო ვაშენოთ, დაკუთხული...) .....90
***...(სულიერთ ჩინი უქრების?—...).....90
***...(შენ შენი ჭია ახარე,...).....91
***...(ღიჭიანებს მეედე,...) .....91

**...(ეგრე... და მერე... დღეს მორჩა კავა,...) .....92
***...(არც პარკინსონი... ჯერ არც პოდაგრა,...) .....92
***...(სულ ამაოა მიდებ- მოდება,...).....93
***...(როგორ და... რატო არ გინდა,...) .....93
***...(რქა რქას ერჩის, ღონე-ღონეს,...) .....94
***...(სული წმინდა... ყველაწმინდა,) .....94
***...(იყო შრიალი დიდ-დიდის...).....95
***...(რა გადარდებს, თუ რომელი...) .....95
***...(მაზნეველს ვაზნარის ვავნო მინდა...) .....96
***...(ვკრიფე და ვკონე...).....96
***...(იცი, ცა რას გიშვრება?...) .....97
***...(კიდე ვერ ხვდება ბიბინა,...) .....97
***...(არა... მეხო... მასავით...) .....98
***...(ღრუბელთ შაიკრეს პირი,...).....98
***...(მოეშვი წრეს და ქორდებს,...) .....99
***...(იგი ეკიდა კარებთან, იქვე,...) .....99
***...(ვიცი დიდებულს სასხვისოც...) .....100
***...(რითმა შუქია... სიტყვა კი...) .....100
***...(ცრუმანჭვალა, კვრინჩხი, ქამა,...) .....101
ს. მოჩხუბარიძეს.....101
***...(ყველას თავის თემშარა თუ...).....102
***...(შარშანწინ... წკრიალ-წკრიალა,...).....102
***...(ცაი მაშრიყით ფრთონავს ოცნებით. ...) .....103
***...(საცნაურყავი ძნელსაცნაური, ...).....103
კოლა... .....104
***...(ვიცი, ჩრდილოით ამოვა „დათვი“, ...).....104
***...(ექვს ათეულის ზამთარი მარნყე, ...).....105
***...(სად არ გიგია მახე, ...).....105
***...(თუ გაგიშვებდა ბურვილი, ...).....106
***...(ზღვა და ხმელეთი ერთიან, ...) .....106
***...(რა ცუდად, ჟამო, მიმაგდე, ...).....107
***...(მოციალე ღამეების დაძონძილი ჯვალოები, ...) ....107

***...(რო გაურიალებს საამო, ...) .....108
***...(ისევ მცურავის გესმას ...).....108
***...(ვისაც თოკი ჩავაწოდე, ...) .....109
***...(მოხევის ნალოლიავებ ...).....109
***...(ავგიას თავლა ავგიას ...) .....110
***...(თებერვალია... და თუ მთვარეა, ...).....110
***...(ისევ ნათეთქვის ქვითინი, ...).....111
***...(ვერ ვეცრუები, ვერ ვიზამ, ...).....111
***...(აქუჩებ ნაშალ ქვიშაქვებს, ...).....112
***...(გლეხო, წალდი თუ დაკარგე, ...) .....112
***...(„მამატა“ — დანაყრებული ...).....113
***...(ირგვლივ წყვდიადი სუფევს მღვიმური, ...).....113
***...(ამსკდა თავის ქალა მეთქი, ...).....114
***...(სარეკელა ქეჩოს იფხანს, ...).....114
***...(საქვეყნოდ გაგათახსირა, ...).....115
***...(თუკი ნატანჯ და ნაწვალებს ...) .....115
***...(წამოვა წვიმა „თავწვრილმიწიდან,“ ...).....116
***...(კიდევ რიყე და კიდევ ვალალი, ...) .....116
***...(ნუ იცრემლები ნაწვიმ ვარდებთან, ...).....117
***...(თვალს მიხვევენ დღისით, მზისით, ...).....117
***...(ლენცოფა და თიავქასრა ...) .....118
***...(მოცოცავს ცრემლი დაღარულ ღაწვზე, ...).....118
***...(შავი ჯავრი გამოვყარე... ...) .....119
***...(არაფერი არა ყრია ვაიში და ეხში: ...) .....119
***...(განვლე ბექი და აღმართი, ...).....120
***...(ცისკარმა ცვარი მაპკურა, ...) .....120
***...(რაისთვის ეგრე დაგვნათი, ...).....121
***...(რეპტილიებით სავსე აქვს უბე, ...).....121
***...(უმწიფარ კაკალს ნუ ესვრი, ...) .....122
***...(ჯერ მყარსა ზედა დავათრევ კენჩხას, ...).....122
***...(მიყუჟული ვარ... ვტკბები რუსოთი. ...).....123
***...(თბილსურნელი აჭარიდან, ...).....123

***...(რა უნდა იყოს, მარქვი, ...)....124
***...(მაწვალე წუთისოფელო, ...)....124
***...(შენეულა წვრილი წნელით ...)....125
***...(როს ანათებენ წკვარამ ღამეებს, ...)....125
***...(ვვიდოდი ხელის ცეცებით, ...)....126
***...(ამას წვეთი არ გაუვა, ...)....126
***...(ცა ქუფრი და ჟანგოვანი ...)....127
***...(წამოწვიმა... (სიყმაწვილის ...)....127
***...(ვით იმღერებდი, გნახავდი, ...)....128
***...(გადავუფრინე კარკაზი, ...)....128
***...(აყვავებულთან მიველი ...)....129
***...(ის დამშრიალებს... მეცა ვჩურჩულებ... ...)....129
***...(სულიერების ალამი ავსულმა სულმა თელა, ...)....130
***...(იადონების გაძღა მუუუუით, ...)....130
***...(სალამი, ჩემო გაზაფხულებო, ...)....131
***...(რა გინდოდა, დამტვერილი ...)....131
***...(ასხიპე წნელი — საშვილი, ...)....132
***...(აგონდები ვისმე განა? ...)....132
***...(მე ჩემს ალაგზე ვტიროდი, ...)....133
***...(სიყმაწვილეს მთვარე სძოვე... ...)....133
***...(მჭადპურა ამად ჰქადე, ...)....134
***...(მრწემ-უმრწმენეს გერგო კოხი, ...)....134
***...(საამოა, დაბურული, ...)....135
***...(შედევრებს ქმნის და ნავლავს, ...)....135
***...(ჩემდა წინაც, ძაან წინათ, ...)....136
***...(გინდა გითხრა, ტიტიკო, ...)....136
***...(გაამზეურო თირკმლები, მაგრე არ არი! ...)....137
***...(ისევ ჩალურები, ისევ მთვარეები, ...)....137
***...(ან შენ ჩხავილზე ვინ იყო, ...)....138
***...( მთამ თუ იცის, მთა რო არი,...)....138
***...(დაიძაგრნენ ლარისათვის, ...)....139
***...(ჯულაშვილი... მერე კობა, ...)....139

***... (ჩათავდა, აჰა, ეს ერთი ნელი,...) ..... 140
***...(და ასე შემდეგ... და ასე შემდეგ... ...) ..... 140
***...(მოუთოკავი ბუყბუყებს ბოღმა, ...) ..... 141
***...(შენი ვალია, ღვთისავარ, ...) ..... 141
***...(დასწყევლა ავი ბატონი, ...) ..... 142
***...(ისევ რამდენი ორპირი, ...) ..... 142
***...(ქურმუხის ქედებს შეჰყრია ჭლექი, ...) ..... 143
***...(აბა, დაჯე და მიამბე, ...) ..... 143
***...(ერთნი, მართლებიც არიან, ...) ..... 144
***...(ბინდბუნდზე ბუხარს მუუჯდა, ...) ..... 144
***...(გაგიტოლდე, ძიავ, რაში, ...) ..... 145
შორეული ლანდები... ..... 145
***...(განქარდა ნისლი, ვსუნთქავდი სადაც, ...) ..... 146
***...(იყო ბეგია, იყო კოლა, იყო ყულია, ...) ..... 146
***...(ვისყენაა.. მარტო მეო! ...) ..... 147
***...(იყო თოვლი და... იყო კოლა „პამბრი-ბაბოთი“ ...) . 147
***...(და ვისაც შენზე გული სტკიოდა, ...) ..... 148
***...(რაღაცით უნდა ხარობდე, ...) ..... 148
***...(ბუჩო ახვეტე, მომაყარე ბზე და პატივი, ...) ..... 149
***...(დაჭკნენ ვარდნი გადაღმა ...) ..... 149
***...(რა კლდე-ღრეში ჩაიქეცა, ...) ..... 150
***...(„სამთა ხარჩო“, „ჭაჭა“, ლუდი, ...) ..... 150
***...(კიდე შორსა ხარ, აპრილო, ...) ..... 151
***...(ტყიპირპირ მივალ ლაკბისკენ, ...) ..... 151
***...(თუ ეს წესი წესად არი, ...) ..... 152
***...(ტიროდი განაპირებით, ...) ..... 152
***...(აბა, სულო, რისა თქვი, ...) ..... 153
***...(ღამეა... ვითომ ძილი მაქ... ...) ..... 153
***...(ისევ ჩემი საწერელი შხამში უნდა ეწოს, ...) ..... 154
***...(საფიქრალ-საწამებელი, ...) ..... 154
***...(მგელი მაინც მაგარია, ...) ..... 155
***...(აბა, ტყე რაა დათვის გარეშე, ...) ..... 155

***...(გახმნენ მინდვრები, გახმნენ ტყეები, ...) ..... 156
***...(ფარნი და ხრმალ-მუზარადნი ...) ..... 156
***...(ანი და ბანი, ჭარი და ჰოე, ...) ..... 157
***...(მე ამ წუთებში, გაბმულ ქუხილის, ...) ..... 157
ფოთლები... ..... 158
***...(თებერვალი დადგაო,...) ..... 158
***...(ვაი შენ ყოფას, ნაწამო, ...) ..... 159
***...(რამეთუ ფერნი ხასხასებენ ...) ..... 159
***...(ვართო, მკითხე, რისანი? ...) ..... 160
***...(განვლეთ რახან დროჟამი, ...) ..... 160